

ლიბერალიზმი და საკუთრება

სტეფან კინსელა



ლიბერტარიანული სამართლის თეორეტიკოსი, ინტელექტუალური საკუთრების პრაქტიკოსი ვეჭილი და სამხრეთი ტეხასის სამართლის კოლეჯის ყოფილი პროფესორია. ის აქტიურადაა ჩაბმული ლიბერტარიანული სამართლისა და პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებაში და მჭიდროდ თანამშრომლობს მიზესის ინსტიტუტთან. შესაბამისად, მის ნაშრომებს, რომლებიც საპატენტო, სახელშეკრულებო, სავაჭრო და საერთაშორისო სამართალს ეხება, თავისუფალი ბაზრის კანონზომიერებების ახლებურად გააზრებაში და განვითარებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ

(გამოქვეყნდა 2001 წელს)

საკუთრების უფლება: მატერიალური და არამატერიალური

ყველა ლიბერტარიანული საკუთრების უფლებას აღიარებს და იმ მოსაზრებას ეთანხმება, რომ საკუთრების უფლება მატერიალურ რესურსებზე ვრცელდება. ამ რესურსებს მიეკუთვნება, როგორც უძრავი ქონება, მაგალითად მიწა, სახლი, ისე მოძრავი ქონება, მაგალითად სკამი, მანქანა და საათი.¹

გარდა ამისა ლიბერტარიანელები ადამიანის მიერ საკუთარი თავის ფლობის და განკარგვის უფლებას აღიარებენ. ასეთ უფლებას შეიძლება “საკუთარი თავის ბატონ-პატრონობა” დავარქვათ, თუმცა დღეს სხვადასხვა მოსაზრება არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ადამიანისთვის ამ უფლების ჩამორთმევა, მკვიდრობის პრინციპის ხელყოფისა და სხვა საგნების ფლობის უფლების ჩამორთმევის მსგავსად.² ნებისმიერ შემთხვევაში ყველა ლიბერტარიანული იზიარებს მოსაზრებას, რომ ყველა მწირი მატერიალური რესურსი, მოპოვებული იქნება ის თუ წარმოებული, მოძრავი თუ უძრავი, თვით ადამიანის სხეულის ჩათვლით, გარკვეული პიროვნებების სამართლებრივი კონტროლის, ანუ “მფლობელობის” საგანს წარმოადგენს.

თუ მატერიალური რესურსებიდან არამატერიალურ რესურსებზე გადავალთ, მაშინ ყველაფერი უფრო ბუნდოვანი ხდება. მაგალითად, რეპუტაციის

ხელშეუხებლობის (ცილისწამების კანონმდებლობა) და შანტაჟისგან თავდაცვის უფლებები არამატერიალურ უფლებებს მიეკუთვნება. ლიბერტარიანელების უმეტესობა, თუმცა არა ყველა მათგანი, შანტაჟის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის საჭიროებას არ ეთანხმება და ბევრი მათგანი რეპუტაციის ხელშეუხებლობის უფლებასაც არ სცნობს.³

გარდა ამისა დავას ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხებიც იწვევს. არსებობს თუ არა პიროვნული უფლებები გამოგონებებსა ან წერილობით ნაშრომებზე? უნდა იცავდეს თუ არა ასეთ უფლებებს საკანონმდებლო სისტემა? ქვემოთ მე ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ კანონმდებლობას განვიხილავ. შემდეგ ლიბერტარიანელების მოსაზრებებს წარმოვაჩენ და ბოლოს, ჩემი აზრით სწორ მოსაზრებასაც ჩამოვაყალიბებ.

ინტელექტუალური საკუთრების კანონი

ინტელექტუალური საკუთრების სახეები

ინტელექტუალური საკუთრება ფართო მცნებაა და იგი რამოდენიმე სახის კანონმდებლობით აღიარებული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად⁴ შექმნილი პროდუქტის ან იდეების საკუთრების უფლებას აღიარებს. ინტელექტუალური საკუთრების უფლება არამატერიალურ საგნებს, ანუ იდეებს შეეხება⁵ და საავტორო უფლებებს ამკვიდრებს, რომელთა უზრუნველყოფა პატენტების მეშვეობით არის შესაძლებელი. ტომ პალმერი ამას ასეთი სახით აყალიბებს: “ინტელექტუალური საკუთრების უფლება წარმოსახვითი საგნების ფლობის უფლებას ამკვიდრებს, რომლებიც იმ მატერიალური საგნებისგან განსხვავდება, რომელთა მიმართებაშიც ამ საგნების განსხვავება ხდება”.⁶ დღეს არსებულ საკანონმდებლო სისტემებში ინტელექტუალური საკუთრების უფლება საავტორო უფლებებს, სავაჭრო მარკას, პატენტებს და სავაჭრო სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის კონფიდენციალურობას მოიცავს.⁷

საავტორო უფლებები

საავტორო უფლებები ავტორებს ისეთი “ორიგინალური ნაშრომებისთვის” მიენიჭებათ, როგორცაა წიგნები, სტატიები, ფილმები და კომპიუტერული პროგრამები. საავტორო უფლებები ავტორს მისი ნაშრომების გამოქვეყნების, ჩვენების, რეპროდუცირების ან საჯაროდ წარმოდგენის ექსკლუზიურ უფლებას

აძლევს.⁸ საავტორო უფლებები მხოლოდ იდეების ფორმას, ანუ გამოხატულებას იცავენ და არა თავად იდეებს.⁹

საავტორო უფლებები დარეგისტრირებული იმისთვის უნდა იყოს, რომ იურიდიული უფლებები გეკუთვნოდეთ, მაგრამ საავტორო უფლებების დარეგისტრირება ნაშრომების დემონსტრირებისთვის არ არის საჭირო. ანუ, საავტორო უფლებები ავტომატურად ჩნდება მაშინვე, როდესაც ნაშრომი გამოხატულების რომელიმე ხელშესახებ ფორმაში “დაფიქსირდება” და ავტორის ცხოვრების განმავლობაში და მისი დასრულებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ იარსებებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორს და დამქირავებელს საკუთარი საავტორო უფლებები გააჩნიათ, საავტორო უფლებები 95 წლის განმავლობაში მოქმედებენ.¹⁰

პატენტი

პატენტი გამოგონებებზე საკუთრების უფლებას წარმოადგენს, ანუ იმ მოწყობილობების ან პროცესების საკუთრების უფლება, რომლებიც “სასარგებლო” ფუნქციებს ასრულებენ.¹¹ მაგალითად, სათაგურის ახალი ან გაუმჯობესებული ვერსია ასეთ გამოგონებებს მიეკუთვნება და შეიძლება დაპატენტებული იქნას. პატენტი გამოგონებელს მისი გამოგონების წარმოებაზე, რეალიზაციაზე ან გაყიდვაზე მონოპოლიურ უფლებას ანიჭებს. მაგრამ პატენტი სინამდვილეში პატენტის მესაკუთრეს მისი გამოგონების სხვების მიერ გამოყენებისა და წარმოების შეზღუდვის უფლებას აძლევს (ანუ, გამოგონებელს უფლება აქვს ხელი შეუშალოს სხვას მისი დაპატენტებული გამოგონებით სარგებლობაში), თუმცა იგი პატენტის მესაკუთრეს მისი გამოგონების გამოყენების უფლებას არ აძლევს.¹²

ყველა გამოგონების ან აღმოჩენის დაპატენტება შეუძლებელია. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გამოგონებების სამი კატეგორია დაადგინა, რომელთა დაპატენტება შეუძლებელია, კერძოდ: “ბუნების კანონები, ბუნებრივი მოვლენა და აბსტრაქტული იდეები”.¹³ მაგრამ შესაძლებელია იმ აბსტრაქტული იდეების დაპატენტება, რომლებიც რაიმე “პრაქტიკული გამოყენების” ფორმით ჩამოყალიბდება, ანუ “სასარგებლო ფუნქციების მატარებელი მატერიალური საგნის ფორმას მიიღებს”.¹⁴ 1995 წლის 8 ივნისიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში პატენტები მათი გაცემის დღიდან 20 წლის განმავლობაშია ძალაში (მანამდე არსებული წესის მიხედვით ეს ვადა 17 წელი იყო).¹⁵

სავაჭრო საიდუმლოება

სავაჭრო საიდუმლოება რაიმე კონფიდენციალური ხასიათის ფორმულას, მოწყობილობას ან ფასის თაობაზე ინფორმაციას გულისხმობს, რომელიც ამ უფლების მესაკუთრეს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს მანამდე, სანამ ეს საიდუმლოება დაცული იქნება.¹⁶ მაგალითად, კოკა-კოლას ფორმულა. სავაჭრო საიდუმლოება შეიძლება ისეთ ინფორმაციას ეხებოდეს, რომელიც არ წარმოადგენს სიახლეს ისეთი მოცულობით, რომ მისი დაპატენტება შეიძლებოდეს ან არ არის იმდენად ორიგინალური, რომ საავტორო უფლებებით იქნას დაცული (მაგ. მომხმარებელთა სიები ან სეისმოლოგიურ მონაცემთა ბაზა). კანონები სავაჭრო საიდუმლოების შესახებ ამ საიდუმლოების “არასწორ” გამოყენებას ზღუდავს ან ამგვარი გამოყენების შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის წესებს ადგენენ.¹⁷ სავაჭრო საიდუმლოება შტატების კანონმდებლობით არის დაცული, თუმცა სავაჭრო საიდუმლოების გამჟღავნების აღმოსაფხვრელად ახლანდელ ფედერალური კანონებიც იქნა მიღებული.¹⁸

სავაჭრო საიდუმლოების დაცვის უფლება ამ საიდუმლოების მესაკუთრის სათანადო განცხადების საფუძველზე მოიპოვება. თეორიულად სავაჭრო საიდუმლოება შეიძლება განუსაზღვრელი დროის განმავლობაში იყოს დაცული, თუმცა ეს საიდუმლოება ინფორმაციის გამჟღავნების ან სხვა მსგავსი გამოგონების შედეგად დაირღვევა. სავაჭრო საიდუმლოების მეშვეობით საიდუმლო ინფორმაციისა და პროცესების დაცვაა შესაძლებელი, მაშინ როდესაც ცნობების მოპოვებისა და დამუშავების, აგრეთვე რუქების დაცვა საავტორო უფლებების გამოყენებით შეუძლებელია. სავაჭრო საიდუმლოების მეშვეობით პროგრამული უზრუნველყოფის კოდების დაცვაც ხერხდება, რაც საავტორო უფლებების მეშვეობით შეუძლებელია. მაგრამ სავაჭრო საიდუმლოებას გარკვეული ნაკლოვანებაც გააჩნია, რადგანაც თუ კონკურენტი დამოუკიდებლად მოახერხებს იგივე სფეროში რაიმე მოწყობილობის ან პროცესის გამოგონებას, ეს პირველ გამომგონებელს (ანუ სავაჭრო საიდუმლოების მესაკუთრეს) ამ ახალი გამოგონებით სარგებლობაში ხელს შეუშლის.

სავაჭრო ნიშანი.

სავაჭრო ნიშანი არის სიტყვა, ფრაზა, სიმბოლო ან დიზაინი, რომელიც საქონლისა და მიწოდებული მომსახურების წყაროს ამოცნობის საშუალებას იძლევა და რომელიც მას სხვა მომწოდებლის საქონლისგან და მომსახურებისგან განასხვავებს. მაგალითად წარწერა “კოკა-კოლა” და

დიზაინი, რომლითაც ამ კომპანიის პროდუქციას სხვების, მაგალითად “პეპსის“ პროდუქციისგან განასხვავებს. სავაჭრო ნიშნის შესახებ კანონმდებლობა კონკურენტების მიერ ამ სავაჭრო ნიშნის გამოყენებას ზღუდავს, ისევე როგორც “შეცდომაში შეყვანის მიზნით მსგავსი ნიშნით“ სარგებლობას აკონტროლებს. პატენტებისა და საავტორო უფლებებისგან განსხვავებით სავაჭრო ნიშნის უფლებები განუსაზღვრელი დროის განმავლობაში შეიძლება არსებობდეს, ანუ მანამდე, სანამ მესაკუთრეს ამ ნიშნის გამოყენება უნდა. ფედერალური წესით დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშნის ძალაში ყოფნის ვადა 10 წელია და მისი შემდგომი 10 წლით გაგრძელება შეიძლება.¹⁹ სავაჭრო ნიშანთან დაკავშირებული სხვა უფლებები სავაჭრო ნიშნის შებღალვას,²⁰ კიბერმეთოდებით²¹ გაყალბებასა და “უპატიოსნო კონკურენციისგან“ დაცვას გულისხმობს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ასევე თანამედროვე გამოგონებებზე, მაგალითად ნახევარგამტარების ინტეგრირებული ქსელის დიზაინის²² *sui generis* (ანუ უნიკალურობის) დაცვასაც მოიცავს, რაც დაახლოებით იგივეა, რაც გემების კორპუსის დიზაინის²³ დაცვა საავტორო უფლებების მეშვეობით. *sui generis* დაცვის უფლება ასევე მონაცემთა ბაზების, ან სხვა ინფორმაციის შემთხვევაშიც არსებობს.²⁴

ამერიკის შეერთებულ შტატებში საავტორო უფლებებთან და პატენტთან დაკავშირებული საკითხები ფედერალური კანონებით რეგულირდება, რადგანაც კონსტიტუცია “მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების მხარდაჭერის“ პასუხისმგებლობას კონგრესს აკისრებს.²⁵ მიუხედავად იმისა, რომ პატენტები და საავტორო უფლებები ფედერალური კანონმდებლობით განისაზღვრება, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები, მაგალითად პატენტების *მესაკუთრეობა* შტატების კანონმდებლობის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა შტატების კანონმდებლობა ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ერთგვაროვანი ხასიათისაა.²⁶ ფედერალური კანონმდებლობა სავაჭრო ნიშნების თაობაზე, შტატებს შორის სავაჭრო შეთანხმებებს ეყრდნობა და ამ შეთანხმებებით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების სახეებს ეხება.²⁷ აღსანიშნავია, რომ შტატების სავაჭრო ნიშნები დღესაც არსებობს, რადგანაც ფედერალური კანონმდებლობა ჯერ კიდევ არასრულყოფილია, თუმცა ფედერალური სავაჭრო ნიშნები კომერციული თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერია. სავაჭრო საიდუმლოებას²⁸ ძირითადად არა ფედერალური, არამედ შტატების კანონმდებლობა იცავს.

ბევრ საქმეში ჩაუხედავ ადამიანს, მათ შორის ლიბერტარიანელებსაც მაინც და მაინც კარგად არ ესმით ინტელექტუალური საკუთრების კონცეფცია და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. შესაბამისად, ხშირად საავტორო

უფლებების, სავაჭრო ნიშნებისა და პატენტების ერთმანეთში აღრევასა აქვს ადგილი. ფართოდ არის გავრცელებული არასწორი მოსაზრება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სისტემის მიხედვით იმ გამომგონებელს, რომელიც პირველი შეიტანს განაცხადს თავისი გამოგონების თუ ნამუშევრის დაპატენტებაზე უფრო მოგვიანებით შეტანილ განაცხადზე უპირატესი უფლებით სარგებლობს. სინამდვილეში ამერიკული სისტემა “პირველი გამომგონების“ და არა “პირველი დარეგისტრირების“ პრიორიტეტულობას აღიარებს.²⁹

ინტელექტუალური საკუთრების უფლება მატერიალურ საკუთრებასთან მიმართებაში

ზემოთ აღინიშნა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლება, ანუ პატენტებსა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული უფლებები შეიძლება განყენებულ საგნებთან დაკავშირებული უფლებების სახით განიხილებოდეს. უადრესად მნიშვნელოვანია მივუთითოთ, რომ იდეის ან განყენებული საგნის მესაკუთრეობა ამ იდეის ან საგნების მესაკუთრეებს მათი იდეის ხორცშესხმის, ანუ გამოგონების მესაკუთრეობის უფლებასაც ანიჭებს. მოდით წარმოვიდგინოთ საავტორო უფლებები რაიმე წიგნზე. საავტორო უფლებების მფლობელ A პირს იმ წარმოსახვით საგანზე აქვს უფლება, რომელსაც წიგნი ეძღვნება. საავტორო უფლებების სისტემა A პირს ამ წიგნში გამოყენებული სტილის მესაკუთრეობის უფლებას ანიჭებს. შესაბამისად, A პირი ამ წიგნის შინაარსის ნებისმიერი ხელშესახები ფორმით განხორციელების საავტორო უფლებებს ფლობს. ე.ი. უფლებას ამ წიგნის ყოველ გამოცემაზე, სულ ცოტა არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში.

ამგვარად, თუ A პირი რაიმე რომანს დაწერს, მას საავტორო უფლებები გააჩნია ამ ნაწარმოებზე. თუ იგი თავისი ნაწარმოების ფიზიკურ ხორცშესხმას, ანუ წიგნს B პირს მიჰყიდის, ეს ნიშნავს, რომ B პირი მხოლოდ ამ კონკრეტული ეგზემპლარის მესაკუთრე გახდება. B პირი თავად ამ რომანის მესაკუთრე არ არის და შესაბამისად, მისი ხელახალი გამოცემის უფლება არ გააჩნია, თუნდაც ის ამას საკუთარ ქაღალდზე და მელნით აპირებდეს. შესაბამისად, B პირს რომც გააჩნდეს თავისი სტამბა და ქაღალდი, მას A პირის წიგნის ასლის გამოცემის უფლება არა აქვს. ამ წიგნის გამოცემის უფლება მხოლოდ A პირს გააჩნია („სავტორო უფლებები“ სწორედ ამას გულისხმობს).

მსგავსად ამისა, თუ A პირს რაიმე გამოგონებაზე პატენტი გააჩნია, ეს პატენტი მას მესამე მხარის მიერ მისი გამოგონების გამოყენებისგან იცავს, მაშინაც კი, თუ მესამე მხარე ამისთვის მხოლოდ თავის საკუთრებას იყენებს. ასეთი გზით

A პირს თავის გამოგონებაზე კონტროლის დაწესების გარკვეული შესაძლებლობები ექმნება. პატენტი და საავტორო უფლებები პრაქტიკულად ყოველთვის საკუთრებითი უფლებების ნაწილობრივ გადაცემას გულისხმობს, რადგანაც იდეის მატერიალური განსახიერება ყოველთვის გულისხმობს, რომ ავტორი, გამოგონებელი და ხელოვანი ამ იდეის ხორცშესხმას სხვას დააკისრებს.

ლიბერტარიანელების მოსაზრებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე

სპექტრი

ლიბერტარიანელების მოსაზრებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე საკმაოდ ნაირგვარია და ზოგი მათგანი ან ინტელექტუალური საკუთრების მთელ შესაძლებელ გამას უჭერს მხარს, ან საერთოდ უარყოფენ ამ უფლებებს. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კამათი ძირითადად პატენტსა და საავტორო უფლებებს ეხება. როგორც ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან ნათელი გახდება, სავაჭრო ნიშანი და სავაჭრო საიდუმლოება აზრთა ასეთ ნაირგვარობას არ იწვევს და ნაკლებად პრობლემატური ასპექტებია. სწორედ ამიტომაც არის რომ ამ სტატიაში ძირითადად ყურადღება პატენტებისა და საავტორო უფლებების კანონიერებასა და არსებობის უფლებაზეა გამახვილებული. ინტელექტუალური საკუთრების მხარდამჭერი მოსაზრებები შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს: ბუნებრივი უფლებები და უტილიტარული გარემოებებით განპირობებული მოსაზრებები. ინტელექტუალური საკუთრების უფლების ლიბერტარიანელი მხარდამჭერები ამ ორი არგუმენტიდან უფრო პირველს ემხრობიან.³⁰ მაგალითად, ბუნებრივი უფლებების არგუმენტაციას ისეთი ლიბერტარიანელები ემხრობიან, როგორცაა გალამბოსი, შულმანი და რანდი.³¹ თანამედროვე ლიბერტარიანელთა წინამორბედთა შორის ინტელექტუალური საკუთრების მხარდამჭერებს სპუნერი და სპენსერი მიეკუთვნებოდა.³²

ბუნებრივი უფლებების არგუმენტაციის ლიბერტარიანელ მიმდევართა თვალსაზრისით ადამიანის გონების ქმნილება ისევე უნდა ექვემდებარებოდეს დაცვას, როგორც მატერიალური საკუთრება. ორივე ადამიანის შრომის და გონების შედეგს წარმოადგენს. თუ ადამიანი თავისი შრომის შედეგის მესაკუთრეა, მას საკუთარი გონებრივი შრომის შედეგზეც იგივე უფლება უნდა გააჩნდეს. ამ თვალსაზრისის შესაბამისად თუ ადამიანს უფლება აქვს იმ მოსავალზე, რომელსაც იგი დათესავს, მას იგივე უფლებები გააჩნია მის მიერ გენერირებულ იდეებზე ან მის მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშებზე.³³

ეს თეორია იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ ადამიანი თავისი სხეულისა და შრომის შედეგების, მათ შორის ინტელექტუალური „ქმნილებების“ მესაკუთრეა. სონეტს, მუსიკას ან ქანდაკებას ადამიანი თავისი შრომისა და სხეულის გამოყენებით ქმნის. შესაბამისად, მას უფლება აქვს ფლობდეს თავის ქმნილებებს, რადგანაც ეს ქმნილებები იმის შედეგია, რასაც ადამიანი თავად ფლობს.

გარდა ამისა, ინტელექტუალური საკუთრების მხარდამჭერი უტილიტარული არგუმენტებიც არსებობს. ფედერალური მოსამართლე რიჩარდ პოზნერი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ლიბერტარიანელია, რომელიც ინტელექტუალურ საკუთრებას უჭერდა მხარს.³⁴ ერთ-ერთი ლიბერტარიანელი, ანარქისტი დევიდ ფრიდმენი ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ასევე იკვლევდა და თვლიდა, რომ იგი უტილიტარულ ინსტიტუციონალურ გარემოში „კანონსა და ეკონომიკას“ ეფუძნება.³⁵

უტილიტარისტული მოსაზრების მხარდამჭერების მიხედვით ადამიანებმა ისეთი კანონები და პოლიტიკა უნდა ამოარჩიონ, რომელიც „სიმდიდრის“ ან „სარგებლის“ მაქსიმიზაციის შესაძლებლობას იძლევა. საავტორო უფლებებსა და პატენტებთან დაკავშირებით ისინი თვლიან, რომ რაც უფრო შემოქმედებითია ხელოვნება ან ინოვაციურია გამოგონება, მით უფრო მეტი სიმდიდრის შექმნა შეიძლება მისი მეშვეობით. საზოგადოებრივი საქონლისა და მუქთი მომხმარებლის ეფექტები ამ სიმდიდრის ოპტიმალურ მოცულობას ამცირებს, ანუ იგულისხმება, რომ ინტელექტუალური საკუთრების თაობაზე სათანადო კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაში უფრო მეტი სიმდიდრის შექმნა შეიძლება.

ამგვარად, საავტორო უფლებებისა და პატენტების გაცემის გზით შესაძლებელი ხდება სიმდიდრის ოპტიმიზაცია ან მისი ზრდა, რადგანაც ავტორებს და გამომგონებლებს უფრო მეტი სტიმული აქვთ შემოქმედებითად იაზროვნონ და ახალი ნაწარმოებები ან გამოგონებები შექმნან.³⁶ მეორე მხრივ, საავტორო უფლებებსა და პატენტებს საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავთ. თანამედროვე ოპონენტებს შორის არიან როთბარდი, მაკელროი, პალმერი, ლიპეიჯი, ბოკარტი და თავად მე.³⁷ ინტელექტუალური საკუთრებისწინააღმდეგ ბენჟამინ თაქერიც ენერგიულად ილაშქრებდა და მეცხრამეტე საუკუნის ინდივიდუალისტ-ანარქისტების პერიოდულ გამოცემაში „თავისუფლება“ ამ თემაზე მწვავე დებატები ჰქონდა.³⁸ ზემოთხსენებული პირები ინტელექტუალური საკუთრებისადმი უტილიტარისტული და ბუნებრივი უფლების მიდგომების მრავალ ნაკლოვანებებზე მიუთითებდნენ. ქვემოთ ინტელექტუალური საკუთრების მხარდამჭერების არგუმენტაციის სუსტი მხარეებს განვიხილავ.

ინტელექტუალური საკუთრების უტილიტარისტული მოსაზრებებით გამართლება

ინტელექტუალური საკუთრების მხარდამჭერები ამ უფლებას უტილიტარისტული მოსაზრებებით ამართლებენ. უტილიტარიანელებს მიაჩნიათ, რომ ისეთი მიზანი, როგორიცაა ინოვაციური და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა, საბოლოო ჯამში ერთი შეხედვით თითქოსდა ამორალურ “საშუალებას“ ამართლებს, როგორცაა ადამიანების შეზღუდვა ისე გამოიყენონ თავიანთი საკუთრება, როგორც ეს მათ სურთ. მაგრამ გარდა ამისა სამი ფუნდამენტალური პრობლემა არსებობს, რაც ნებისმიერი წესისა თუ კანონის უტილიტარისტული მიდგომებით გამართლებას შეუძლებელს ხდის.

უპირველეს ყოვლისა, მოდით წარმოვიდგინოთ, რომ სიმდიდრისა და სარგებლიანობის მაქსიმიზაცია გარკვეული საკანონმდებლო აქტების მიღების გზით არის შესაძლებელი.

ასეთი შემთხვევა კი არ ადასტურებს, რომ სათანადო საკანონმდებლო აქტები გამართლებულია. მაგალითად, შეიძლება არგუმენტის სახით მოყვანილი იყოს, რომ სუფთა სარგებელი იმ შემთხვევაში იზრდება, როდესაც საზოგადოების ყველაზე მდიდარი ნაწილის ერთი პროცენტის სიმდიდრე ყველაზე ღარიბი ნაწილის ათ პროცენტზე გადანაწილდება. მაგრამ თუკი A პირს საკუთრების ნაწილს ჩამოვართმევთ და მას B პირს მიეცემთ, მაშინ ამ უკანასკნელის “კეთილდღეობა“ უფრო მეტი მოცულობით გაიზრდება, ვიდრე A პირის კეთილდღეობა დაიკლებს (თუ ასეთი შედარების გაკეთება შესაძლებელია), თუმცა ეს A პირისთვის საკუთრების წართმევის გამართლებად ვერ ჩაითვლება. სიმდიდრის მაქსიმიზაცია არ წარმოადგენს კანონის მიზანს. მის მიზნებში სამართლიანობის უზრუნველყოფაა, ანუ³⁹ ყველა ადამიანისთვის იმის მიკუთვნება, რაც მას სამართლიანად ერგება.

მაშინაც კი, როდესაც ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შედეგად საზოგადოების საერთო კეთილდღეობა იზრდება, ეს არ ნიშნავს, რომ თუნდაც ასეთი სასურველი საბოლოო შედეგის გამო დასაშვებად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი ადამიანის უფლებების დარღვევა და მათივე ქონების საკუთარი ნებასურვილის მიხედვით განკარგვის შესაძლებლობის შეზღუდვა.

გარდა იმისა, რომ უტილიტარიზმს ეთიკური პრობლემები ახასიათებს, იგი თანმიმდევრულიც არ არის, რადგანაც მას აუცილებლად სარგებლიანობის პიროვნებათა შორის შედარება მოსდევს, ანუ ამ შემთხვევაში

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონების “ღირებულება“ მოსალოდნელ “სარგებელს“ აკლდება და კანონების მოსალოდნელი წმინდა სარგებელი ასეთი გზით განისაზღვრება.⁴⁰ მაგრამ ყველაფერს, რაც ჩვენ ვაფასებთ, საბაზრო ფასი როდი გააჩნია. სინამდვილეში, საბაზრო ფასი არც ერთ ასეთ ნივთს არ გააჩნია. მიზეზმა დაასაბუთა, რომ საქონლის საბაზრო ფასები საქონლის ღირებულების საზომს არ წარმოადგენენ.⁴¹

და ბოლოს, სულაც რომ არ ვისაუბროთ სარგებლიანობის შედარებასა და სიმდიდრის გადანაწილების სამართლიანობაზე, შეფასების სტანდარტული უტილიტარული ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში იმის საკმარისი მტკიცებულება არ არის, რომ ინტელექტუალური საკუთრების კანონები ამცირებდნენ ან ზრდიდნენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს და კეთილდღეობას.⁴² ანუ, სადავოა ნამდვილად საჭიროა თუ არა პატენტები და საავტორო უფლებები იმისთვის, რომ ნოვატორულ და შემოქმედებით საქმიანობას ხელი შეეწყოს, თუ პირიქით, მზარდი მოგება და ნოვატორობა უფრო ღირებული და წონადია, ვიდრე ინტელექტუალური საკუთრების სისტემასთან დაკავშირებული დანახარჯები. ეკონომეტრიული კვლევები მაინცდამაინც თანმიმდევრულად ვერ ასაბუთებენ სიმდიდრის ზრდას. შესაძლოა პატენტების შესახებ კანონები რომ არ არსებობდნენ, კიდევ უფრო მეტი ნოვატორული იდეა დაბადებულიყო. შესაძლოა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვისაც უფრო მეტი თანხები გამონთავისუფლებულიყო, რაც უფრო მეტ სტიმულს მისცემდა ნოვატორულად მოაზროვნე ადამიანებს, ვიდრე თითქმის ოცწლიანი მონოპოლია ამ სფეროზე.⁴³

რასაკვირველია საპატენტო სისტემის მოქმედებასთან მნიშვნელოვანი დანახარჯებია დაკავშირებული. როგორც უკვე აღინიშნა, პატენტების აღება მხოლოდ იდეების “პრაქტიკული“ ხორცშესხმის შემთხვევაშია შესაძლებელი. ანუ, აბსტრაქტული იდეების დაპატენტება შეუძლებელია. ამის გამო რესურსების დიდი ნაწილი თეორიული და სამეცნიერო-კვლევითი სფეროს ნაცვლად სხვა დანიშნულებით გამოიყენება.⁴⁴ თანაც, არ არის ნათელი მართლაც უკეთესია თუ არა საზოგადოების ვითარება, როდესაც ყურადღება პრაქტიკულ გამოგონებებზეა გადატანილი და თეორიული კვლევები და განვითარება უყურადღებოდ რჩება. გარდა ამისა, ბევრ გამოგონებას ძირითადად მათი დაცვის მიზნით აპატენტებენ, რის გამოც იურისტებისა და საპატენტო სტრუქტურების ჰონორარები იზრდება. რომ არა პატენტები, ასეთი მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა არ გახდებოდა საჭირო. საპატენტო კანონმდებლობის უქონლობის შემთხვევაში კომპანიები თანხებს ისეთ უცნაურ პატენტებზე არ დახარჯავდნენ, რომელთა ჩამონათვალი დანართშია მოცემული. უბრალოდ არ იქნა დამტკიცებული, რომ ინტელექტუალური

საკუთრება სიმდიდრისა და მოგების ზრდას უწყობს ხელს. მაგრამ განა იმ ადამიანებმა, ვინც სხვების საკუთრებას ძალისმიერი მეთოდებით გადანაწილებას ემხრობიან, ვერ უნდა შეძლონ საკმარისი დამაჯერებლობით ამ კავშირის დამტკიცება?

უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც გარკვეული კანონებისა და უფლებების მიზანშეწონილობას ვქადაგებთ და მათ დაკანონებას მოვითხოვთ, ჩვენ ძალის გამოყენების ეთიკურ წანამძღვრებს უნდა ვითვალისწინებდეთ და სამართლიანობის მოსაზრებებიც უნდა გვამოძრავედეს. თუ ვსვათ შეკითხვას იმის თაობაზე, უნდა არსებობდეს და სრულდებოდეს თუ არა გარკვეული კანონი, ჩვენ იმავედროულად უნდა დავსვათ შემდეგი კითხვა: რამდენად გამართლებულია გარკვეულ გარემოებებში ძალის გამოყენება გარკვეული ადამიანების წინააღმდეგ? ალბათ არ არის გასაოცარი, რომ სიმდიდრის მაქსიმიზაციის კვლევისას ეს საკითხი არ განხილულა. უტილიტარისტული ანალიზი სრულიად მცდარი და ბუნდოვანია: სიმდიდრის გაზრდაზე საუბარი მოკლებულია მეთოდოლოგიურ დასაბუთებებს. არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ ინტელექტუალური საკუთრება სიმდიდრეს ზრდის. ეს ასეც რომ იყოს, სიმდიდრის ზრდა სხვა პირების კანონიერი საკუთრების ჩამორთმევის მიზნით ძალის გამოყენებას ვერ ამართლებს. ამ მოსაზრებების გამო ინტელექტუალური საკუთრების უტილიტარისტული მოსაზრებებით დაცვა დამაჯერებელი არ არის.

ბუნებრივ უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები

ინტელექტუალური საკუთრების სხვა ლიბერტარიანული მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ გარკვეული იდეები სხვა ქონებრივი უფლებების მსგავსად დაცვას საჭიროებენ, რადგანაც ეს იდეები *ქმნილებას* წარმოადგენენ. აინ რანდი პატენტებისა და საავტორო უფლებების არსებობას მხარს იმიტომ უჭერდა, რომ მისი აზრით “ეს ყველა საკუთრების უფლების განხორციელების იურიდიულ საფუძველს იძლევა. ადამიანს მისი გონების შემოქმედების შედეგზე უფლება უნდა ჰქონდეს”.⁴⁵ რანდის აზრით ინტელექტუალური საკუთრების უფლება პროდუქტიული შრომის აღიარებას და ანაზღაურებას წარმოადგენს. შესაბამისად, სამართლიანი იქნებოდა, რომ ამ იდეების ავტორს ამ იდეების შედეგებით სარგებლობის უფლება ჰქონდეს. ამავე მიზეზით ის პატენტისა და საავტორო უფლებების სამუდამო, ანუ განუსაზღვრელი დროით მინიჭებას ეწინააღმდეგება, რადგანაც ავტორის მემკვიდრეები თავიანთი წინაპრის შემოქმედებაზე პასუხისმგებლები ვერ იქნებიან.

ამ მიდგომის ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მხოლოდ *გარკვეული* ტიპის ქმნილებებს იცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა

სასარგებლო იდეა საკუთრების საგანი უნდა გახდეს (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). იმავდროულად გადაწყვეტილება იმაზე თუ რომელი იდეა იმსახურებს დაცვას და რომელი არა, ყოველთვის მიკერძოებულია. მაგალითად, ფილოსოფიური, მათემატიკური თუ სამეცნიერო იდეების დაცვა არსებული კანონმდებლობის პირობებში შეუძლებელია იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ კომერცია და სოციალური ურთიერთობები ყველა ახალ ფილოსოფიურ იდეას ჩაახშობდა, თუკი იგი საკუთრების სახით იქნებოდა განხილული და დაცული. სწორედ ამ მოსაზრების გამოა, რომ პატენტები არა იდეებზე, არამედ მათ პრაქტიკულ ხორცშესხმაზე გაიცემა. რანდი ეთანხმება ამ მოსაზრებას და თვლის, რომ მიდგომა დიფერენცირებული უნდა იყოს, ანუ უნდა დაეუშვათ, რომ არსებობენ აღმოჩენები, რომლებიდანაც ზოგი დაპატენტებას ექვემდებარება და ზოგი არა. იგი ამტკიცებს, რომ “სამეცნიერო თუ ფილოსოფიური აღმოჩენა, რომელიც ბუნების კანონებს ეხება, მანამდე უცნობ პრინციპს ან ფაქტს წარმოადგენს“ და იგი გამომგონებლის მიერ *შექმნილი* რამ არ არის.

მაგრამ ქმნილებასა და აღმოჩენას შორის ასეთი მკვეთრი ზღვარის გაკლება შეუძლებელია.⁴⁶ გარდა ამისა, ნათელი ამგვარი განსხვავების მიზეზიც კი არ არის. *მატერიას* არაფერ არ ქმნის, ადამიანები უბრალოდ ფიზიკის კანონების შესაბამისად გარკვეული სახით იყენებენ მათ. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე სინამდვილეში *არაფერ არაფერს არ ქმნის*. ადამიანები უბრალოდ გარკვეულ მატერიას სხვადასხვა სქემით და მოდელით აწყობენ. ინჟინერმა, რომელმაც ახლებური სათაგური გამოიგონა, უბრალოდ არსებული ნაწილები სხვანაირად გადააწყობა და სათაგურს მანამდე არარსებული ფუნქციები მიანიჭა. სხვა ადამიანებს, რომლებიც ამ გამოგონების შესახებ გაიგებენ, ასევე შეეძლებათ მისი შემდგომი დახვეწა. მაგრამ სათაგური უბრალოდ ბუნების კანონების შესაბამისად იხვეწება. გამომგონებელს არ გამოუგონია ის მასალა, რომლისგანაც სათაგურია დაშვადებული, ისევე როგორც ფაქტები და ბუნების კანონები, რომლებიც მისი დაშვადებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ზემოთხსენებული თვალსაზრისის შესაბამისად, როდესაც ადამიანებმა გაიგეს აინშტაინის გამოგონების თაობაზე, რომლის მიხედვითაც $E=mc^2$, მათ მატერიის უფრო ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა მიეცათ. ანუ, აინშტაინის გარეშე სხვები ვერასოდეს ვერ შეიტყობდნენ გარკვეულ მიზეზშედევობრივ კანონზომიერებებს და მატერიის სხვადასხვა გზებით გამოყენებას ვერ მოახერხებდნენ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ როგორც გამომგონებელი, ასევე თეორეტიკოსი მეცნიერი ერთნაირადაა ჩაბმული შემოქმედებითი აზროვნების პროცესში და ორივე სასარგებლო ახალ იდეებს ქმნის.

მიუხედავად ამისა, ერთის შრომა აღიარებულია, ხოლო მეორესი კი - არა. ამის მაგალითად შემდეგი შემთხვევა გამოდგება, რომელიც ახლახან მოხდა. გამომგონებელმა განსაზღვრა, თუ როგორ უნდა გამოითვალოს რიცხვი, რომელიც ორ წერტილს შორის უმოკლეს კავშირს ადგენს. ეს უაღრესად სასარგებლო გამოგონებაა იყო, მაგრამ იგი დაპატენტებული არ იქნა, რადგანაც უბრალოდ მათემატიკურ ალგორითმად იქნა მიჩნეული.⁴⁷ ეს ნამდვილად მიკერძოებული და უსამართლო მიდგომაა, რადგანაც მხოლოდ პრაქტიკული გამოგონებების ავტორები იღებენ სარგებელს, მაგალითად რაიმე საგნის გამომგონებელი ან სიმღერის ავტორი, მაშინ როდესაც თეორიული მეცნიერებისა და მათემატიკური სფეროს მკვლევარები, ისევე როგორც ფილოსოფოსები თავიანთი იდეების შედეგებით ვერ სარგებლობენ. ასეთი განსხვავება იმთავითვე უსამართლო, ბუნდოვანი და მიკერძოებულია.

გარდა ამისა, მიდგომა მაშინაც მიკერძოებულია, როდესაც ინტელექტუალური საკუთრების უფლება გარკვეული ვადით იფარგლება და განუსაზღვრელი ვადით არ მიენიჭება. მაგალითად, პატენტის ვადა განცხადების შეტანის დღიდან ოც წელიწადზე ვრცელდება, მაშინ როდესაც საავტორო უფლებები ავტორის გარდაცვალებიდან სამოცდაათი წლის განმავლობაშია ძალაში. ანუ ვერაფერს ვერ დაასაბუთებს დანამდვილებით, რომ პატენტებისთვის 19 წელი მოკლე ვადაა, ხოლო 21 წელი კი გრძელი, ისევე როგორც ვერ დაასაბუთებს, რომ ერთი ლიტრი რძის ფასი ძალიან დაბალია თუ ძალიან მაღალი.

ამგვარად, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით ბუნებრივი უფლების თვალსაზრისით მიდგომის ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის მიკერძოებულად ადგენს განსხვავებებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ქმნილებები ექვემდებარება დაცვას და რომლები არა, ისევე როგორც დაცვის ვადებს.

ასეთი სიძნელების დაძლევის ერთ-ერთი შესაძლებელი გზა იმისა აღიარებაა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლება *ყველაფერზე* შეიძლება გავრცელდეს. მაგალითად, სპუნერი პატენტებისა და საავტორო უფლებების განუსაზღვრელი ვადით მინიჭებას უჭერს მხარს.⁴⁸ შულმანი იდეების დაცვასთან დაკავშირებით უფრო ფართო კონცეფციას აყალიბებს. იგი ამტკიცებს, რომ უნდა არსებობდეს ისეთი უფლებები, როგორცაა “სავაჭრო ნიშნის” (ლოგოს) დაცვის უფლება. ლოგო წარმოებული პროდუქტის “მატერიალური იდენტურობის” მაჩვენებელია. ლოგოს მესაკუთრე მატერიალური საგნების თაობაზე ინფორმაციისა და გამოსახულების მესაკუთრეა.

ინტელექტუალური საკუთრების ყველაზე რადიკალური მხარდამჭერი ენდრიუ ჯოზეფ გალამბოსია, რომლის იდეები ჩემი აზრით აბსურდულობის ზღვარზეა.⁴⁹

გალამბოსს მიაჩნია, რომ ადამიანს თავის ცხოვრებაზე (თანდაყოლილი საკუთრება) და “მისი ცხოვრების ყველა შედეგზე“ საკუთრების უფლება აქვს.⁵⁰ რადგანაც ადამიანის სიცოცხლის უპირველესი “შედეგი“ მისი იდეები და აზრებია, ამიტომ იდეები და აზრები მის “ძირითად, ანუ პირველად საკუთრებას“ წარმოადგენენ. რადგანაც ადამიანის მოქმედებები მისი “პირველადი საკუთრების“ (ანუ იდეების) შედეგია, ამიტომ ადამიანის ქმედებებიც მის საკუთრებას წარმოადგენენ. სწორედ ამას უწოდებს გალამბოსი “თავისუფლებას“. მეორადი შედეგები, მაგალითად მიწა, ტელევიზორები და სხვა მატერიალური საგნები ადამიანის იდეებისა და მოქმედებების ნაყოფს წარმოადგენენ.

ამგვარად, მატერიალური საგნების საკუთრების უფლება თანდათანობით მეორე პლანზე გადაიწევა, ხოლო იდეებს კი პირველი პლანი ენიჭებათ. (რანდმაც კი, პატენტები მატერიალური საგნების მესაკუთრეობის უფლებაზე უფრო მაღლა დააყენა, როდესაც თავის უცნაურ აზრს აყალიბებდა იმის თაობაზე, რომ “პატენტები საკუთრების უფლების არსს და საფუძველს წარმოადგენენ“.⁵¹ შეიძლება დავიჯეროთ, რომ 1800-იან წლებამდე, ანუ როდესაც პატენტების სისტემატიზაცია მოხდა, საკუთრების უფლება არ არსებობდა?). გალამბოსი თავისი იდეების გავრცობისას გასაოცარ აბსურდულობამდე მიდიოდა და ამტკიცებდა, რომ მისი იდეები მის საკუთრებას წარმოადგენდნენ და თავის სტუდენტებს მათ გამეორებას უკრძალავდა.⁵² გალამბოსი იმდენად ხშირად ახსენებდა სიტყვა “თავისუფლებას“ თომას პეინის პატივისცემის ნიშნად, რომ ასეთივე სიხშირით ყულაბაში ხურდა რომ ჩაგვეგდო, საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა დაგროვდებოდა. გალამბოსმა თავისი სახელიც კი გადააკეთა, ანუ ჯოზეფ ენდრიუ გალამბოსის ნაცვლად ენდრიუ ჯოზეფ გალამბოსი დაირქვა, რომ ამ სახელზე მამამისის საკუთრების უფლება არ დაერღვია, რადგანაც მასაც იგივე სახელი ჰქონდა.⁵³

ინტელექტუალური საკუთრების მასშტაბის გაფართოება და მისი მოქმედების ვადის გაგრძელება, ინტელექტუალურ საკუთრებას (ამას გალამბოსის მოსაზრებები ნათლად ადასტურებს) კიდევ უფრო უსამართლოს და აბსურდულს გახდის. პატენტებისა და საავტორო უფლებების განუსაზღვრელი ვადით მინიჭების შემთხვევაში მომავალი თაობები მათი საკუთრების გამოყენების შეზღუდვების მიმე ტვირთის ქვეშ აღმოჩნდებიან. ვერავინ ვეღარ შეძლებდა ნათურის წარმოებას ან თუნდაც გამოყენებას ედისონის მემკვიდრეებისგან შესაბამისი ნებართვის მიღების გარეშე. ვერავინ ვეღარ შეძლებდა სახლის აშენებას პირველყოფილი ადამიანის იმ შთამომავლების ნებართვის გარეშე, რომელმაც გამოქვაბული დატოვა და სახლი ააშენა. ვერავინ ვერ გამოიყენებდა სიცოცხლის გადარჩენისთვის აუცილებელ

სხვადასხვა ტექნიკას, ქიმიკატებს და მედიკამენტებს მათი გამომგონებლების შთამომავლებისგან ნებართვის მიღების გარეშე. ვერაფერ ვერ შეძლებდა წყლის აღულებას მისი გაწმენდის მიზნით, ან პროდუქტების დაკონსერვებას გამომგონებლის (ან მისი მემკვიდრეებისგან) ლიცენზიის მიღების გარეშე.

ასეთი შეუზღუდავი უფლებების მინიჭება მატერიალური საგნების საკუთრების უფლებასაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. ინტელექტუალური საკუთრების უფლების გამო მატერიალური აქტივების მესაკუთრეობა შეუძლებელი გახდებოდა, ისევე როგორც სხვა სახის საკუთრება და მოქმედება, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ინტელექტუალური საკუთრების მესაკუთრეების უფლებები დაირღვეოდა და საბოლოოდ ეს კაცობრიობის განადგურებას გამოიწვევდა. როგორც თავად რანდმა აღნიშნა ადამიანები მოჩვენებები არ არიან. ჩვენ სულიერი ასპექტების გარდა ფიზიკური ასპექტებიც გაგვაჩნია.⁵⁴

ნებისმიერი სისტემა, რომელიც იდეების საკუთრების უფლებას უშვებს და ამით მატერიალური საგნების საკუთრების უფლების მნიშვნელობას ამცირებს, მდგრად, ეთიკურ ან თანმიმდევრულ სისტემას არ წარმოადგენს. ინტელექტუალური საკუთრებისადმი ასეთი არარეალისტური დამოკიდებულების შემთხვევაში ადამიანი ვერ იარსებებს და იმოქმედებს. ინტელექტუალური საკუთრების სხვა მხარდამჭერები უფრო ზომიერ მიდგომებს ქადაგებენ და ინტელექტუალური საკუთრების პირობებისა და ვადების განსაზღვრით კმაყოფილდებიან, მაგრამ ამით ისინი ეთიკურად მიკერძოებულ მიდგომასაც ემხრობიან, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

“ბუნებრივი უფლების“ პოზიციის ყველაზე დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი აქცენტს უფრო ინტელექტუალური საკუთრების უფლების “მინიჭებაზე“ და არა მისი საზღვრების დადგენაზე აკეთებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ინტელექტუალური საკუთრება და საკუთრების უფლება

საკუთრება და სიმწირე

მოდით უკან დავიხიოთ და საკუთრების უფლება კიდევ ერთხელ განვიხილოთ. ლიბერტარიანელები მატერიალური საგნების (რესურსების) საკუთრების უფლებას აღიარებენ.

რატომ? რა არის მატერიალურ აქტივებში ისეთი, რომ ისინი საკუთრების უფლების საგნად უნდა ჩაითვალოს? რატომ წარმოადგენენ მატერიალური საგნები საკუთრებას? თუ ამ საკითხს უფრო დეტალურად ჩავუღრმავდებით, ნათელი გახდება, რომ რესურსების *სიმწირე* არის ის მიზეზი, რომელიც სხვადასხვა ადამიანებსა და მხარეებს შორის შესაძლო დაპირისპირების მიზეზი

გახდეს. სწორედ რესურსთან დაკავშირებით წარმოქმნილი კონფლიქტების გამო ხდება საჭირო, რომ მათი მოგვარების მიზნით ეთიკური ნორმები დაწესდეს. შესაბამისად, საკუთრების უფლების ძირეულ და ეთიკურ ფუნქციაში რესურსების სიმწირიდან წარმოქმნილი კონფლიქტების დარეგულირება შედის.⁵⁵ როგორც ჰოპე აღნიშნავს „თავად რესურსების სიმწირე განაპირობებს მორალური წესების დადგენის სირთულეს, რადგანაც მაშინ როდესაც რესურსები შეუზღუდავი რაოდენობითაა (ანუ, უფასო საქონელი), მათი განაწილების პრობლემაც არ არსებობს და არც ამ პროცესის კოორდინაციაა საჭირო. რესურსები რომ შეუზღუდავი რაოდენობით ყოფილიყო, მაშინ მათთან დაკავშირებით დაპირისპირება არ წარმოიქმნებოდა და შესაბამისად, საკუთრების უფლების დაცვის მიზნით ზომების მიღება საჭირო არ გახდებოდა. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნებისმიერი ეთიკური ნორმასაკუთრების თეორიის სახით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ანუ ისეთი თეორიის სახით, რომელიც მწირი რესურსების საკუთრებისა და განუყოფელი კონტროლის უფლებას განსაზღვრავს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი გარდაუვალი დაპირისპირებების მოგვარება.⁵⁶ პლანტი, ჰიუმი, პალმერი, როთბარდი და თაქერი⁵⁷ იმ პიროვნებებს წარმოადგენენ, რომლებსაც გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ რესურსების სიმწირე სწორედ ის საკითხია, რომელიც თავის მნიშვნელობის გამო, საკუთრების უფლებების განსაზღვრის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული.

ამგვარად, ბუნებაში არსებობს გარკვეული რესურსები, რომელთა რაოდენობა უადრესად შეზღუდულია. ჩემს მიერ ასეთი რესურსით სარგებლობა თქვენ მიერ მის გამოყენებას *გამორიცხავს* და პირიქით.

საკუთრების უფლების ფუნქცია რესურსების სიმწირით გამოწვეული შესაძლო კონფლიქტების თავიდან აცილება და მოწესრიგებაა, რაც რესურსებზე განუყოფელი საკუთრების უფლების გარკვეული ადამიანებისთვის მინიჭების გზით წყდება. ამ ფუნქციის წარმატებით შესასრულებლად აუცილებელია, რომ რესურსებზე საკუთრების უფლება *სამართლიანად* იქნეს მინიჭებული. ნათელია, იმისთვის, რომ ადამიანებმა სხვისი საკუთრებით არ ისარგებლონ, აუცილებელია საკუთრების საზღვრების დადგენა და საკუთრების უფლების ობიექტურად მინიჭება. თანაც, საკუთრების უფლება *ხილული*, ანუ ნათლად განსაზღვრული უნდა იყოს.⁵⁸ ამ მიზნით საკუთრების უფლება ობიექტური და არაორაზროვანი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, “კარგი ღობე გეხმარებათ, რომ კარგი მეზობლობა შეინარჩუნოთ”.⁵⁹

საკუთრების უფლება ერთმნიშვნელოვნად სამართლიანი უნდა იყოს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ მაშინ როდესაც ის მისაღები არ იქნება იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს წესები ეხება, იგი დაპირისპირებას ვერ

მოაგვარებს.⁶⁰ თუ საკუთრების უფლება უსამართლოდ იქნება განაწილებული ან ძალით წართმეული, მაშინ ეს საკუთრების უფლების საერთოდ არარსებობის ტოლფასი იქნება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რომელიც საკუთრების უფლების განსაზღვრამდე არსებობდა. მაგრამ თავად ლიბერტარიანელები და მათ შორის ლოკი აღიარებენ საკუთრების უპირატესი მფლობელობის უფლებას, ანუ მკვიდრობის ბუნებრივ უფლებას. რესურსების სიმწირის პირობებში, საკუთრების ობიექტურ, ეთიკურ და მიუკერძოებელ გადანაწილების პირობას მხოლოდ პირველი მესაკუთრეს საკუთრების უფლების აღიარება წარმოადგენს.⁶¹ როდესაც მწირი რესურსების საკუთრების უფლება მკვიდრობის პრინციპით არის მინიჭებული, საკუთრების საზღვრები ნათელია, ხოლო განაწილება კი - სამართლიანი. ასეთი საკუთრების უფლების სისტემის პირობებში შესაძლებელი ხდება კონფლიქტების თავიდან აცილება, რადგანაც მესამე მხარე ხედავს და აღიარებს სხვა პირის საკუთრების უფლებას და მას საკმარისი მოტივაცია აქვს რათა სხვისი უფლებები არ დაარღვიოს, რადგანაც ისინი სამართლიანადაა განსაზღვრული. მაგრამ საკუთრების უფლების წარმომავლობის, დასაბუთებისა და ფუნქციის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ ეს წესები მხოლოდ შეზღუდული მოცულობის რესურსებთან მიმართებაში მოქმედებს.

ჩვენ რომ ედემის ბაღში ვცხოვრობდეთ, სადაც მიწა და სხვა რესურსები შეუზღუდავი რაოდენობითაა, მაშინ რესურსების სიმწირე არ წარმოიქმნებოდა და არც საკუთრების უფლების განმსაზღვრელი წესები გახდებოდა საჭირო. თავად საკუთრების კონცეფციას კი არ ექნებოდა აზრი. ანუ, კონფლიქტისა და საკუთრების უფლების საკითხიც კი არ დადგებოდა. მაგალითად, თქვენ რომ ჩემი ბალახის მოსათიბი მანქანა აგელოთ, ეს არანაირ ზიანს არ მომაყენებდა, რადგანაც იმწამში მეორე ასეთ მანქანას ვიშოვიდი. ასეთ გარემოებებში ჩემი ბალახის სათიბი მანქანის სხვა პირის მიერ აღება ქურდობად ვერ განიხილებოდა. საკუთრების უფლება არ ეხება ისეთ საგნებს, რომლებიც დიდი რაოდენობით არსებობენ, რადგანაც ასეთ საგნებთან დაკავშირებით დაპირისპირება არ წარმოიქმნება.

ამგვარად, საკუთრების უფლებას ობიექტური და ნათლად გამიჯნული საზღვრები უნდა გააჩნდეს, ანუ უპირატესი სარგებლობის წესი უნდა მოქმედებდეს. გარდა ამისა, საკუთრების უფლება მხოლოდ მწირ რესურსს შეეხება. ინტელექტუალური საკუთრების უფლების ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოსახვითი საგნები, რომლებსაც ასეთი უფლებები იცავენ, შეზღუდული რაოდენობის სულაც არ არიან. გარდა ამისა, ასეთი

საკუთრების უფლება არ არის და ვერც იქნება გადანაწილებული მკვიდრობის პრინციპით, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ უფრო დეტალურად.

რესურსების სიმწირე და იდეები

იდეები მწირი რესურსი სულაც არაა. თუ მე ბამბის მოსავლის აღების ახალ ტექნიკას გამოვიგონებ, ის გარემოება, რომ თქვენც იმავე ტექნიკას გამოიყენებთ ბამბის მოსავლის ასაღებად, მე არაფერს დამაკლებს, რადგანაც ეს ტექნიკა მაინც ჩემი გამოგონებულია. ანუ, მე მაინც მექნება ჩემი ტექნიკა (ისევე როგორც ჩემი ბამბა). ანუ, თქვენ რომ ბამბით სარგებლობთ, ეს მე იმავე რესურსით სარგებლობაში ხელს არ მიშლის. ამ რესურსი ეკონომიკური თვალსაზრისით მწირი არ არის და ამის გამო დაპირისპირების საფუძველს არ წარმოშობს. ამგვარად, ეს რესურსი ექსკლუზიური სარგებლობის საგანს არ წარმოადგენს.

მსგავსად ამისა, თუ თქვენ ჩემს მიერ დაწერილ წიგნს გადაბეჭდავთ, მე მაინც ორიგინალის მესაკუთრე ვარ და ამ წიგნის სტილი და მასში გამოყენებული სიტყვები “მეკუთვნის“. ამგვარად, საავტორო ნაწარმოებებიც არ წარმოადგენენ მწირ რესურსს იმ გაგებით, როგორც მიწა ან მანქანაა. თუ თქვენ ჩემს მანქანას წაიყვანთ, მე მანქანა აღარ მეყოლება. მაგრამ თუ თქვენ ჩემი წიგნის სტილს გადაიღებთ და მას თქვენს წიგნში გამოიყენებთ, მე მაინც მექნება ჩემი წიგნი. იგივე ეხება გამოგონებებისა და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის შემთხვევებს. როგორც თომას ჯეფერსონი, თავად გამომგონებელი და ამერიკული პატენტების სისტემის შემქმნელი წერდა: “ის ვინც ჩემგან რაიმე იდეას გადაიღებს, ამ იდეასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს თავად არაკვევს, ხოლო მე ჩემი იდეა და ინსტრუქციები გამაჩნია. იმ ადამიანს, რომელიც თავის სანთელს ჩემი სანთლიდან ანთებს, შუქი თვითონაც აქვს და სიბნელეში მეც არ ვრჩები“.⁶² სხვა ადამიანების მიერ გარკვეული იდეების გამოყენება მათ ავტორს ხელს არ უშლის, რომ თავისი იდეებით ისარგებლოს და ამიტომ დაპირისპირების საფუძველს არ ქმნის. შესაბამისად, იდეებზე საკუთრებითი უფლები ვერ გავრცელდება. რანდიც კი აღიარებდა, რომ “ინტელექტუალური საკუთრების ამოწურვამდე მოხმარება შეუძლებელია“.⁶³

იდეები ბუნებრივად მწირი არ არის. მაგრამ თუ ჩვენ წარმოსახვითი საგნის საკუთრების უფლებას ვაღიარებთ, მაშინ “სიმწირეს“ ხელოვნურად ვქმნით, რომელიც მანამდე არ არსებობდა. როგორც არნოლდ პლანტი განმარტავდა “პატენტით (და საავტორო უფლებებით) განსაზღვრული საკუთრების უფლების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეს უფლებები რესურსის სიმწირის

გამო კი არ წარმოიშვება, არამედ კანონის ძალით შექმნილ უფლებას წარმოადგენს. მაშინ როდესაც კერძო საკუთრების ინსტიტუტი მწირი რესურსის საფუძველზე და მისი დაცვის მიზნით იქმნება, რომ შედეგად ამ მწირი რესურსის დაცვა და გამრავლება მოხდეს“. პატენტით და საავტორო უფლებებით განსაზღვრული საკუთრების უფლება გარკვეული პროდუქტის სიმწირეს თავად ქმნის, რომელიც სხვაგვარად არ გაჩნდებოდა.⁶⁴

ბოკარტი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ რესურსის ბუნებრივი სიმწირე საკუთრების უფლების შესახებ წესების შემუშავების საფუძველია, ხოლო კანონები, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრებას ეხება. ხელოვნური წარმონაქმნებია და სიმწირეს თავად ქმნიან. როგორც ის აღნიშნავს: “ბუნებრივი სიმწირე ადამიანის მიერ ბუნების ათვისების შედეგია. სიმწირე ბუნებრივია თუკი ის ყოველგვარი პიროვნებათშორისი, ინსტიტუციონალური და ხელშეკრულებრივი აქტის დამოუკიდებლად არსებობს. ხელოვნური სიმწირე ადამიანების მიერ მიღებული აქტების შედეგად წარმოიშობა. ხელოვნური სიმწირე ვერ გამოდგება საკანონმდებლო ჩარჩოს გამართლებად, რომელიც სიმწირის შექმნას ხელს უწყობს. ეს არგუმენტი სრულიად საწინააღმდეგოდ უნდა ჟღერდეს. პირიქით, სამართლებრივი ახსნა ხელოვნურ სიმწირეს სჭირდება“.⁶⁵

ამგვარად, ბოკარტი ამტკიცებს, რომ “საკუთრებითი უფლებების დაცვის საგანი მხოლოდ ფიზიკურად ხელშესახები ბუნებრივად მწირი რესურსები შეიძლება გახდნენ“.⁶⁶ რაც შეეხება წარმოსახვით საგნებს, მათი დაცვა მხოლოდ პიროვნული უფლებების საფუძველზე, ანუ კონტრაქტების მეშვეობით შეიძლება (უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული).

ადამიანებს შორის კონფლიქტების მიზეზი მხოლოდ მატერიალური და მწირი რესურსები შეიძლება გახდეს და შესაბამისად, საკუთრების უფლება და შესაბამისი კანონები მხოლოდ მათზე უნდა ვრცელდებოდეს.

მაშასადამე პატენტები და საავტორო უფლებები გაუმართლებელი მონოპოლიაა, რომელიც მთავრობის მიერ დადგენილი კანონების გამო არსებობს. ამიტომაც გასაცარი არ არის, რომ როგორც თავად პალმერი ამბობდა “მონოპოლიური პრივილეგიები და ცენზურა პატენტებისა და საავტორო უფლებების ისტორიულად არსებულ საფუძველს და წინაპირობას წარმოადგენს“.⁶⁸ სწორედ მონოპოლიური პრივილეგიების შედეგად იქმნება ხელოვნური სიმწირე იქ, სადაც იგი მანამდე არ არსებობდა.

მოდით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებები გარკვეული მატერიალური საგნების გამომგონებელს და შემოქმედს ნაწილობრივი კონტროლის უფლებამოსილებას ანიჭებენ.

ანუ, გამომგონებელს და შემოქმედს სხვისი საკუთრების ნაწილობრივი ფლობის უფლება აქვთ იმის გამო, რომ ინტელექტუალური საკუთრების ფლობის უფლება გააჩნიათ. ამ გარემოების გამო მათ შეუძლიათ, რომ სხვა ადამიანებს იმ ქონების გამოყენება აუკრძალონ, რომელიც *მათი საკუთრებაა*. მაგალითად X ავტორს შეუძლია, რომ მესამე მხარეს, ანუ Y პირს მისივე კუთვნილ ქალაქში და მისი მექანიზმით, რაღაც კონკრეტული სიტყვების დაწერა აუკრძალოს. ანუ, რადგანაც ადამიანს გარკვეულ აზრებზე ან არსებული მატერიების რაიმე ახალი გზით გამოყენებაზე (რეცეპტი) საკუთრების უფლება აქვს, მაშინ ინტელექტუალური საკუთრების მესაკუთრეს ავტომატურად უფლება უჩნდება, რომ სხვა პირის საკუთრების ნაწილობრივი მესაკუთრე გახდეს. ანუ, მას შეუძლია მესამე მხარეს უთხრას, რომ მას რაღაცის გაკეთების უფლება არა აქვს.

ინტელექტუალური საკუთრების უფლება საკუთრების სხვაგვარად გადანაწილების გზით *სტატუს ქვოს* ცვლის, ანუ საკუთრების უფლება ადამიანთა ერთი ჯგუფიდან (მატერიალური საკუთრების მესაკუთრეები) შეიძლება მეორე ჯგუფზე გადავიდეს (ავტორები და გამომგონებლები). ერთი შეხედვით, კანონები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მატერიალური დოვლათის მესაკუთრეების უფლებებს ხელყოფს, მათ საკუთრებაზე ქონებრივი უფლებების გამომგონებლებსა და ავტორებზე გადაეცემის გზით.

კანონები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ სწორედ ასეთი ჩარევისა და საკუთრების უფლების გადანაწილების გამართლებას ემსახურებიან. ანუ, ჩვენ ვხედავთ, რომ უტილიტარისტული არგუმენტაცია სრულყოფილი არ არის. ქვემოთ ბუნებრივი უფლებების მიდგომების სხვა ნაკლოვანებებიც იქნება განხილული.

წარმოება სიმწირის საპირისპიროდ

ზემოთ ინტელექტუალური საკუთრების საკითხების ბუნებრივი უფლებების თეორიებზე დაყრდნობით განხილვის პრობლემებზე უკვე ვისაუბრეთ. წინამდებარე ნაწილში რესურსების სიმწირის მნიშვნელობის გათვალისწინებით ამ მიდგომის სხვა ნაკლოვანებები იქნება განხილული.

როგორც უკვე აღინიშნა, ინტელექტუალური საკუთრების ზოგი ლიბერტარიანული მხარდამჭერი, მათ შორის რანდი ამტკიცებდა, რომ *წარმოება* საკუთრების უფლების საფუძველს წარმოადგენს.⁶⁹ ეს საკუთრებითი უფლებების არსისა და მიზნების არასწორი წარმოჩენაა, რადგანაც ის რესურსების სიმწირითაა განპირობებული. საკუთრების უფლების არსებობას სწორედ სიმწირე და მის საფუძველზე წარმოქმნილი დაპირისპირებები

განაპირობებენ, რომელიც მათი მოგვარებისა და საკუთრების სწორად გადანაწილების საშუალებას იძლევა. თავად საკუთრების უფლების მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება მასთან დაკავშირებული წესები და ნორმები. თუკი გვინდა, რომ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული წესები ობიექტური იყოს და დაპირისპირებების მოგვარებას ემსახურებოდეს, ეს წესები მიკერძოებული და არაობიექტური არ უნდა იყოს.⁷⁰ ამ გზით რესურსები, რომლებიც მანამდე არავის არ ეკუთვნოდა, გარკვეული ადამიანების საკუთრებაში გადადის, ანუ საკუთრების უფლება მკვიდრობის, იგივე პირველი⁷¹ მესაკუთრის უპირატესი უფლების საფუძველზე განისაზღვრება.

საზოგადოდ მწირ რესურსებზე მესაკუთრეობა იმის საფუძველზე განისაზღვრება, თუ ვინ დაეპატრონა მას პირველი. რესურსების დაპატრონებისა და მიტაცების, ისევე როგორც ამგვარი მისაკუთრების დადასტურების რამოდენიმე გზა არსებობს, რაც რესურსის სახეობასა და დანიშნულებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, მე შემიძლია ტყეში ან სადმე ბაღში ვაშლი მოვწყვიტო და ასეთი გზით დავეპატრონო მას, ან შემიძლია მიწის ნაკვეთი შემოვლო, რომელიც არავის არ ეკუთვნის და იგი ჩემს ფერმად ვაქციო. არსებობს მოსაზრება, რომ რესურსის დაპატრონების ერთ-ერთი ფორმაა რაიმეს “შექმნა”.⁷² მაგალითად, მე შემიძლია მარმარილოსგან ქანდაკება შევქმნა, ფოლადისგან ხმალი ჩამოვასხა, ან თუნდაც აუთვისებელ მიწიზე ფერმა “გავაშენო”.

ამ მაგალითებიდან ნათელი ხდება, რომ ისეთი საგნების შექმნა, როგორცაა ქანდაკება, ხმალი, ფერმა ამ მწირი რესურსის საკუთრების საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული. შექმნის აქტი პრაქტიკულად დასაკუთრების აქტს წარმოადგენს, თუ რესურსი მანამდე არავის საკუთრებას არ წარმოადგენდა და თქვენ მას პირველი დაეპატრონეთ.

მაგრამ მხოლოდ “შექმნა” ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თქვენ ამ რესურსის მესაკუთრე ხართ. ეს არც საკმარისი და ხანდახან არც აუცილებელი პირობაა. ადამიანს არ შეუძლია შექმნას რაიმე ისე, რომ გარკვეული მწირი რესურსი, ანუ ნედლეული არ გამოიყენოს. აღსანიშნავია, რომ ნედლეულიც დეფიციტს წარმოადგენს და მე შეიძლება ამ ნედლეულის მესაკუთრე ვიყო, ან არ ვიყო. თუ მე ნედლეულის მესაკუთრე არა ვარ, მაშინ საბოლოო პროდუქტი მე არ მეკუთვნის. თუ მე საწარმოო ნედლეულს ვფლობ, მაშინ საბოლოო პროდუქტიც მე მეკუთვნის.

მოდით განვიხილოთ ხმლის მაგალითი. თუ მე ვფლობ ნედლეულს (მაგალითად, რამდენადაც მე ფოლადი მიწიდან მოვიპოვე მე მას ვფლობ), მაშინ ეს ლითონი მას შემდეგაც ჩემი საკუთრებაა, როდესაც მე მას ხმლის ფორმას მივცემ. ანუ,

ეს ხმალი იმიტომ კი არ მეკუთვნის, რომ მე იგი შევექმენი, არამედ იმიტომ, რომ ის ნედლეული, რომლისგანაც ხმალი გავაკეთე, ჩემი საკუთრება იყო.⁷³ ანუ, იმისთვის, რომ მე რაღაცის მესაკუთრე გავხდე, არ არის აუცილებელი, რომ ეს რაღაცა უშუალოდ მე შევექმნა, რადგანაც ეს საბოლოო პროდუქტი ისედაც მე მეკუთვნის, იმ უბრალო გარემოების გამო, რომ ნედლეული ჩემი საკუთრება იყო. მეორე მხრივ, თუ მე ხმალს თქვენი მასალისგან გავაკეთებ, საბოლოო პროდუქტი მე არ მეკუთვნის. პირიქით, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მე თქვენი საკუთრების ხელყოფისა ან სარგებლობისთვის ანაზღაურების გადახდა მომიწიოს.

ამგვარად, რაღაცის შექმნა არც საკმარისი, ხოლო ხანდახან არც აუცილებელი არ არის, რომ ადამიანი რაღაცის მესაკუთრე გახდეს. ანუ, თუ ძირითადი აქცენტი შექმნაზე იქნება გადატანილი, მაშინ ისეთი ფუნდამენტალური ასპექტი, როგორცაა რესურსების სიმწირე და მათზე მკვიდრობის უფლება უყურადღებოდ დარჩება. ანუ, პირველ რიგში რესურსის დასაკუთრება და არა შექმნა, ანუ წარმოება უნდა განიხილებოდეს, როგორც საკუთრებითი უფლებების წარმოშობის ყველაზე მთავარ პირობად. უპირველეს ყოვლისა რესურსის მესაკუთრეობა და არა შრომა და და წარმოება, წარმოადგენს, როგორც აუცილებელ, ისე საკმარის პირობას მანამდე არავის საკუთრებაში არ მყოფი მწირ რესურსების მესაკუთრედ, რომ ითვლებოდეთ.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შექმნას ამდენად დიდი მნიშვნელობა დაუმსახურებლად მიენიჭა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგის აზრით შრომა ის გადამწყვეტი ფაქტორია, რის გამოც ადამიანს საკუთრების უფლება მიენიჭება. ანუ, გავრცელებულია აზრი, რომ ადამიანი იმიტომ ხდება მიწის მესაკუთრე, რომ მან მიწას თავისი შრომა ჩააქსოვა, ხოლო თავად შრომა კი იმთავითვე ადამიანის საკუთრებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, როგორც პალმერი სრულიად მართებულად აღნიშნავდა: “რესურსის დასაკუთრება და არა შრომა არის ის ქმედება, რომლის შედეგად გარეშე საგნები ჩვენი საკუთრება ხდება”.⁷⁴ ანუ, თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ რესურსის დასაკუთრება არის ის ქმედება, რის გამოც ადამიანი მისი მესაკუთრე ხდება, მაშინ ეინ რანდისა და სხვა ობიექტივისტების მსგავსად იმის მტკიცება, რომ შექმნა საკუთრებითი უფლების წარმოშობის გადამწყვეტი პირობაა, საჭირო აღარ არის.

ამის ნაცვლად უნდა ვაღიაროთ, რომ პირველ მეპატრონეს (ან მათ სამართალმემკვიდრეებს) უპირატესი უფლება გააჩნია, რადგანაც ასეთი გზით მწირი რესურსების საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტების თავიდან აცილება შესაძლებელი გახდება. შექმნა არც აუცილებელი პირობა და არც საკმარისი ქმედებაა იმისთვის, რომ ადამიანს რესურსების ფლობის უფლება გააჩნდეს. გარდა ამისა, იმ უცნაური მოსაზრების მხარდაჭერა, რომლის

შესაბამისადაც ადამიანი თავისი შრომის და ამის საფუძველზე იმ საგნების მესაკუთრეა, რომელსაც შრომა დაახარჯა, საჭირო არ არის. შრომა მოქმედების ერთ-ერთი ფორმაა, ხოლო მოქმედების “დასაკუთრება” შეუძლებელია. მოქმედება ადამიანის სხეულის მოძრაობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

ბუნებრივი უფლების მიდგომის საფუძველზე ინტელექტუალური საკუთრების გამართლება იმის გამო არ არის მისაღები, რომ ამ შემთხვევაში იდეის ავტორი, ანუ გამომგონებელი “ქმნის” რაღაცას და ამ საგნის მესაკუთრე სწორედ ასეთი გზით ხდება. ეს არგუმენტი ნამდვილად ბადებს ბევრ კითხვას, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოსახვითი საგნების საკუთრება საერთოდ წარმოუდგენელია. თუ ჩვენ ამას დავეთანხმებით, მაშინ გამოდის რომ წარმოსახვითი საკუთრების “შექმნილი” მისი ბუნებრივი და კანონიერი მესაკუთრეა. მაგრამ წარმოსახვითი საგნების მესაკუთრეობა შეუძლებელია.

ლიბერტარიანელების მიდგომის შესაბამისად რესურსების სიმწირის პირობებში მათი მესაკუთრე იმის საფუძველზე განისაზღვრება, თუ ვინ დაეპატრონა მათ პირველი. შექმნილი, ანუ წარმოებულ საქონლის შემთხვევაში (მაგ. ქანდაკება, ფერმა და სხვა) შეგვიძლია დავუშვათ, რომ შექმნილიც გარკვეულწილად პირველ მესაკუთრეს წარმოადგენს, რადგანაც მან ნედლეული მოიძია და რაღაცა შექმნა (ანუ რაღაც მატერიას ფორმა მისცა, ხელოვნების ნიმუშად გადააქცია). მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, თავად შექმნის აქტი არ არის საკმარისი საკუთრების უფლების მისანიჭებლად.⁷⁵ იგივე მოსაზრებების გამო ლოკის იდეა იმის შესახებ, რომ მწირი რესურსის დამუშავებაზე “შრომის დახარჯვა” საკმარისია მოსარგებლის ამ რესურსის მესაკუთრედ ჩასათვლელად, არ არის მისაღები (რადგანაც იმისთვის, რომ რაღაცას შრომა დაახარჯოთ, იგი თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ). არც ის არგუმენტი საკმარისი, რომ ადამიანის შრომა უნდა დაფასდეს და ანაზღაურებული იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ შრომა ადამიანის საკუთრებას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ შექმნა და შრომის დახარჯვა *მიუთითებს*, რომ ადამიანი მწირ რესურსს დაეპატრონა (მკვიდრობის პრინციპით).⁷⁶

ინტელექტუალური საკუთრების მხარდამჭერები ყურადღებას შრომაზე და შექმნაზე ამახვილებენ და მწირი რესურსების დასაკუთრების მნიშვნელობას უგულვებელყოფენ. ამით ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ადამიანის შრომა უნდა დაფასდეს. ეს ადამ სმითის შრომის თეორიას ძალიან ჰგავს, რომელიც მცდარ მოსაზრებებს ეფუძნებოდა და რომელზე დაყრდნობითაც მარქსმა კიდევ უფრო მცდარი თეორიები განავითარა კომუნიზმსა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.⁷⁷

როგორ ზემოთ ავლნიშნეთ ეინ რანდის აზრით ინტელექტუალური საკუთრების უფლება გარკვეულწილად შემოქმედებითი შრომის აღიარებას წარმოადგენს. ეინ რანდი და ინტელექტუალური საკუთრების სხვა მხარდამჭერები შერეული ბუნებრივი უფლებების მიდგომას ემხრობიან, ანუ უტილიტარისტული მიდგომას, რომლის მიხედვითაც იმ ადამიანის შრომა, რომელიც თავის ძალისხმევას გარკვეული რაღაცის შესაქმნელად წარმართვას აღიარებული უნდა იყოს და მან თავისი შრომის შედეგებით უნდა ისარგებლოს (მაგ. ეინ რანდი ეწინააღმდეგებოდა იმ აზრს, რომ პატენტები და საავტორო უფლებები განუსაღვრელი ვადით უნდა ყოფილიყო მინიჭებული. იგი ამტკიცებდა, რომ ასეთ შემთხვევაში გამომგონებლის ან შემოქმედის შთამომავლები, რომლებსაც არანაირი წვლილი არ მიუძღვით მოცემულ გამოგონებაში, მისი შედეგებით ისარგებლებენ).⁷⁸

გარდა ამისა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით ბუნებრივი უფლებებისა და უტილიტარისტული დასაბუთების ასეთი უცნაური ნარევი გულისხმობს, რომ რაღაცა შეიძლება საკუთრებად იყოს მიჩნეული თუ მას გარკვეული ღირებულება გააჩნია. როგორც ჰოპემ მართებულად აღნიშნა, ადამიანს საკუთრების უფლება არა ქონების ღირებულებაზე, არამედ მხოლოდ მის ფიზიკურ ერთიანობაზე შეიძლება გააჩნდეს.⁷⁹ გარდა ამისა, მიკერძოებული მიდგომის შედეგად ბევრ რაიმეს შეიძლება მიენიჭოს ეკონომიკური ღირებულება. ასე მაგალითად, მთავრობამ შეიძლება მიიჩნიოს, რომ გარკვეული რესურსებით და საგნებით სარგებლობაზე მონოპოლიური უფლება უნდა იქნას მინიჭებული მიუხედავად იმისა, რომ ეს რესურსები მწირი არ არის (მაგალითად, საფოსტო მომსახურების სფეროში პირველი კატეგორიის კორესპონდენციის მიწოდების მონოპოლიური უფლების მინიჭება).

ამგვარად, რადგანაც იდეები არ წარმოადგენენ მწირ რესურსს და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით დაპირისპირებების ნაკლებად სავარაუდოა, მაშასადამე საკუთრებითი უფლებების საგნად, რომელიც სწორედ დაპირისპირებების მოსაგვარებლად არის მოწოდებული, იდეები ვერ ჩაითვლება.

მკვიდრობის ორი სახე

რა პრობლემებია დაკავშირებული საკუთრების “ახალი” უფლებების აღიარებასთან? ახალი იდეები, ხელოვნების ნიმუშები და ნოვატორული გამოგონებები ჩვენს სულიერ და მატერიალურ გამდიდრებას ემსახურება და მაშინ რა ზიანის მოტანა შეუძლია იმას, თუ დროსთან ერთად ჩვენს მიდგომებსაც შევცვლით და საკუთრების ახალ ფორმებს ვაღიარებთ?

პრობლემა იმაშია, რომ თუ საკუთრებითი უფლებების აღიარება ჭარბი რესურსებზე შეიძლება, ეს ნიშნავს, რომ მატერიალურ რესურსებზე საკუთრებითი უფლებების მნიშვნელობა შედარებით შესუსტდება.

ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს რეალურ სამყაროში, სადაც რესურსების სიმწირე ფაქტია, წარმოსახვით საგნებთან დაკავშირებით საკუთრების უფლების აღიარების ერთადერთი გზა, საკუთრებითი უფლებები მატერიალურ საგნებზე გადატანაა. მე მიმაჩნია, რომ სინამდვილეში საპატენტო უფლებები, ანუ უფლება იდეასა ან გამოგონებაზე და არა მწირ რესურსზე, ნიშნავს ჩემს მიერ ნებისმიერი სხვა ადამიანის მწირი რესურსების კოტროლის უფლების ქონას.

ჩვენ ვხედავთ, რომ ინტელექტუალური საკუთრებითი უფლებები მწირი რესურსების დასაკუთრების ახალ წესებს ადგენს, რომლებიც ლიბერტარიანული მკვიდრობის პრინციპის მნიშვნელობას და ქმედითობას ამცირებს. ასე მაგალითად, ლოკისა და ლიბერტარიანელების მკვიდრობის პრინციპის შესაბამისად, რესურსის მფლობელად ის ადამიანი ითვლება, რომელიც პირველი დაესაკუთრა რესურსს, რომელიც მანამდე არავის საკუთრებას არ წარმოადგენდა. ანუ, ეს ადამიანი ამ რესურსის მესაკუთრე ხდება. მოგვიანებით მოსული ადამიანი, რომელიც ასეთ საკუთრებას მთლიანად ან ნაწილობრივ მიიტაცებს, სინამდვილეში ქურდია, რადგანაც ის სხვის საკუთრებას ხელყოფს. ეს ქურდი წარმატებით გვთავაზობს მკვიდრობის ახალ და მიკერძოებულ წესებს, რომელთა საფუძველზე პირველი მესაკუთრის უპირატესი უფლებების ახალი უფლებებით ჩანაცვლება ხდება. ანუ, ეს წესი პრაქტიკულად ასე ჟღერს: “მე ყოველივე იმის მესაკუთრე ვხდები, რასაც თქვენ ძალით წაგართმევთ“. რასაკვირველია ასეთი წესი მისაღები არ არის და მისი წესად აღიარებაც კი, შეუძლებელია, რადგანაც იგი პირველი მესაკუთრეს უპირატესი უფლების წესთან შედარებით შეუსაბამო და ნაკლოვანია. ქურდის წესი ვერ იქნება უნივერსალური წესი. იგი არ არის სამართლიანი და კონფლიქტების თავიდან აცილებას საერთოდ არ ემსახურება.

ინტელექტუალური საკუთრების უფლების მხარდამჭერებმა მკვიდრობის ახალი წესიც უნდა შემოგვთავაზონ, რომელიც ზემოთხსენებულ წესს შეავსებდა და პირველი მესაკუთრეს უპირატესი უფლების წესს ჩანაცვლებდა. ანუ, მათ უნდა დაუშვან, რომ არსებობს მატერიალური საკუთრების ფლობის სხვა, მეორე გზა. ინტელექტუალური საკუთრების უფლების მხარდამჭერებმა მკვიდრობასთან დაკავშირებით ალბათ დაახლოებით შემდეგი შინაარსის წესი უნდა შემოგვთავაზონ: “ადამიანი, რომელიც ღირებულ და სასარგებლო იდეას შეიმუშავებს, რომელიც სხვა ადამიანების მიერ თავიანთი მატერიალური საკუთრების გამოყენების წესებს განსაზღვრავს, მაშინვე ამ ადამიანების საკუთრების განკარგვის უფლებას იძენს, თუკი ეს ადამიანები თავიანთ

საკუთრებას ამ წესის შესაბამისად განაგებენ“. მკვიდრობის ეს ახალი ტექნიკა იმდენად ფართო უფლებამოსილების მინიჭებას გულისხმობს, რომ იგი იდეის შემქმნელს მესამე მხარის საკუთრებაში მყოფი მატერიალური საკუთრების კონტროლისა და შესაბამისად ფლობის უფლებას აძლევს.

მაგალითად, ჭის გათხრის ახალი ტექნიკის გამოგონების შემთხვევაში გამოგონების ავტორი ყველა სხვა ადამიანს უკრძალავს ამ ტექნიკით სარგებლობას, თუნდაც ადამიანები ამას თავისი რესურსებით აკეთებდნენ. ამასთან დაკავშირებით სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება: წარმოიდგინეთ ის ხანა, როდესაც ადამიანები გამოქვაბულში ცხოვრობდნენ. ერთმა ჭკვიანმა პირველყოფილმა ადამიანმა, მოდით მას გალტმაგნონი დაეარქვათ, გადაწყვიტა, რომ იმ მინდორში, სადაც იგი მიწას ამუშავებდა და სხვადასხვა კულტურებს ზრდიდა, მორებისგან სადგომი აეშენებინა. რასაკვირველია ეს კარგი იდეა აღმოჩნდა და სხვებიც მიხვდნენ ამას. მაგრამ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მხარდამჭერების შესაბამისად, იმ პირველ ადამიანს, რომელსაც სახლის აშენება მოუვიდა აზრად, ასევე უფლება ჰქონდა, რომ სხვებისთვის მსგავსი სახლების აშენება აეკრძალა, ან ამ იდეით სარგებლობაზე გარკვეული თანხა დაეწესებინა. ამ მაგალითებიდან ნათელი ხდება, რომ გამოგონების ავტორი სხვა ადამიანების მატერიალური საკუთრების (მაგალითად, მორებისა და მიწის) ნაწილობრივი მესაკუთრე ხდება არა იმიტომ, რომ იგი პირველი დაეპატრონა რომელიმე მათგანს, არამედ იმიტომ, რომ მას გარკვეული იდეა დაებადა. რასაკვირველია ეს წესი წინააღმდეგობაში მოდის მკვიდრობის წესთან, ანუ იმ წესთან, რომელიც საკუთრების უფლებების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ მისაღები დასაბუთება იმისა, თუ რატომ უნდა მივანიჭოთ გამომგონებელს სხვა პირების მესაკუთრეობაში არსებული კერძო საკუთრების ნაწილობრივი ფლობის უფლება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იგი ამ გამოგონების ავტორია, სინამდვილეში არ არსებობს. მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცა წესი იქნა შემოთავაზებული, ეს არ ნიშნავს, რომ იგი სამართლიანი ან მიზანშეწონილია. ძალიან ბევრი არაობიექტური კანონი არსებობს და კიდევ მრავალი ისეთი კანონის მოფიქრებაა შესაძლებელი, რომლის საფუძველზეც ქონებრივი უფლების განაწილება შეიძლება რომ მოხდეს. მაგალითად, რასისტმა შეიძლება ისეთი ნორმა შემოგვთავაზოს, რომლის შესაბამისად ნებისმიერ თეთრკანიან ადამიანს გააჩნია მკვიდრობის უფლება და შეუძლია ის მწირი რესურსები მიისაკუთროს, რომელიც მანამდე შავკანიან ადამიანს ეკუთვნოდა. ან, სახელმწიფოს შეუძლია წარმოების ყველა საშუალების მესაკუთრე გახდეს, იმ წარმოების საშუალებების ჩათვლით, რომლებიც მანამდე სხვა ადამიანების საკუთრებას წარმოადგენდა. ან, სახელმწიფოს შეუძლია, რომ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში მყოფი

მიწების ნაწილი გადასახადის სახით მიისაკუთროს. მკვიდრობის უფლებასთან დაკავშირებული ყველა ასეთი არაობიექტური წესი, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული წესები, რომლის შესაბამისადაც გამოგონებლებს სხვა პირების საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების ნაწილობრივი კონტროლის უფლება გააჩნია, გაუმართლებელია.

ყველა ეს წესი ეწინააღმდეგება მკვიდრობის ერთადერთ მისაღებ წესს, რომელიც პირველი მესაკუთრის უპირატეს უფლებას ეფუძნება. არც ერთი ზემოთხსენებული წესი მწირი რესურსების საფუძველზე წარმოქმნილი დავების მოგვარებას არ უზრუნველყოფს. იდეების, ქმნილებებისა და ღირებული გამოგონებების დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებული დისკუსიები მხოლოდ იმ გარემოების დამალვას ემსახურება, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მხარდამჭერები პრაქტიკულად მკვიდრობის და კერძო საკუთრების ფლობის ყველაზე საბაზისო პრინციპების უგულებელყოფას ცდილობენ.

ინტელექტუალური საკუთრება, როგორც კონტრაქტი

კონტრაქტის საზღვრები

კანონი ადამიანის ინდივიდუალური უფლებების დაცვას და მწირი რესურსების კანონიერი გზით დასაკუთრების უზრუნველყოფას უნდა ემსახუროდეს. წარმოსახვითი საგნების, ანუ ინტელექტუალური გამოგონებებისა და ქმნილებების ფლობის ბუნებრივი უფლება არ არსებობს. არსებობს მხოლოდ მწირი რესურსის ფლობის უფლება. ინტელექტუალური საკუთრების მოწინააღმდეგეების უმეტესობა იდეებისა და გამოგონებების დაცვის საკონტრაქტო გზას უჭერს მხარს, ანუ კერძო საკუთრების მფლობელებს შორის კონტრაქტების გაფორმებას.⁸⁰

მოდით წარმოვიდგინოთ, რომ A ადამიანმა წიგნი დაწერა და ამ წიგნის ეგზემპლარები რამოდენიმე სხვადასხვა მყიდველს, ანუ B1, B2, B3...BN ადამიანს მიჰყიდა. კონტრაქტის პირობაში შემდეგი შედიოდა: ყოველი B მყიდველი ვალდებული იქნება, რომ ეს წიგნი არ გაყიდოს ან გაამრავლოს.

კონტრაქტის თეორიის შესაბამისად, ყველა B მყიდველი ვალდებული იქნება, რომ კონტრაქტით განსაზღვრული პირობების დაარღვევის შემთხვევაში A პირს ზარალი აუნაზღაუროს.⁸¹ მაგრამ ინტელექტუალური საკუთრების უფლების საკონტრაქტო მიდგომის საფუძველზე განსაზღვრის მხარდამჭერები ცდილობენ, თუ სჯერათ, რომ კერძო კონტრაქტით იგივე ხარისხის დაცვა იქნება

მიღწეული, როგორც ინტელექტუალური საკუთრების უფლების უზრუნველყოფი თანამედროვე წესებით. პატენტები და საავტორო უფლებები ყველა მესამე მხარის წინააღმდეგ უაღრესად ქმედით დაცვას იძლევა, იმის მიუხედავად, მესამე მხარეებს ასეთი თანხმობა გაცემული აქვთ და კონტრაქტი გააფორმეს თუ არა. ეს რეალური უფლებებია, რომლებიც დამავალდებულებელი ხასიათისაა, მსგავსად იმისა, როგორც ჩემი კანონიერი უფლება გარკვეულ მიწაზე ყველას აიძულებს, რომ პატივი სცეს ჩემს საკუთრების უფლებას, დამოუკიდებლად იმისა, გააფორმეს ჩემთან კონტრაქტი ამის თაობაზე თუ არა. ზემოთხსენებული სიტუაციისგან განსხვავებით, კონტრაქტი მხოლოდ იმ მხარეებზე ვრცელდება, რომელთა შორისაც იგი დაიდო. კონტრაქტი დაახლოებით ორი მხარის მიერ შემუშავებული კანონის ტოლფასია.⁸² ანუ, კონტრაქტი არ ავალდებულებს მესამე მხარეებს, ანუ იმ მხარეებს, რომლებსაც ეს კონტრაქტი არ დაუდევთ.⁸³

ამგვარად, თუ წიგნის მყიდველი მესამე მხარეს, ანუ T პირს ამ წიგნის სიუჟეტს მოუყვება, ეს მესამე მხარე კონტრაქტის მონაწილე არ არის. თუ მე შევიტყვე, თუ როგორ უნდა დავარეგულირო ჩემი მანქანის კარბიურატორი ისე, რომ მანქანის ეფექტურობა გაორმაგდეს, ან თუ მე შევიტყობ სხვის მიერ შექმნილი ფილმის ან ნოველის სიუჟეტს, რატომ მოვაჩვენო ვინმეს თავი რომ ამის შესახებ არაფერი ვიცი და თავი შევიკავო ამ ცოდნის გამოყენებისგან? მე ხომ კონტრაქტი არ დამიღია და ამიტომ იგი მე არაფერს არ მავალდებულებს. მე ვაღიარებ, რომ კონტრაქტის პირობები შეიძლება ნათლად იყოს გაწერილი, ან ბევრი რამ მასში ნაგულისხმევი იყოს და არ იყოს გაწერილი, მაგრამ მოცემულ ვითარებაში მე საერთოდ არა ვარ კონტრაქტის მხარე და არც სათანადო ვალდებულებები მაკისრია.

გარდა ამისა, ვერავინ ვერ იტყვის, რომ მე მოვიპარე ან მოტყუებით მივიღე ინფორმაცია, რადგანაც ინფორმაციის მიღების მრავალი სხვადასხვა და კანონიერი გზა არსებობს. ხელოვნების ნიმუშები თავისი ხასიათიდან გამომდინარე სწორედ იმიტომ იქმნება, რომ საჯაროდ იქნას გამოტანილი. ამის მსგავსად, გამოგონებებისა და ინოვაციების შინაარსი შეიძლება ხელმისაწვდომი არა მხოლოდ კონფიდენციალური შეთანხმების მონაწილე მხარეებისთვის გახდეს. უდავოა, ის რომ მე კარბიურატორს გარკვეული რეჟიმით ვამუშავებ ან მოსმენილი სიუჟეტის საფუძველზე ჩემს წიგნს დავწერ, ეს გამოგონების ან წიგნის ავტორს ხელს არ შეუშლის, რომ თავისი ნამუშევრით და მატერიალური საკუთრებით ისარგებლოს.

ამგვარად, ჩემს მიერ კარბიურატორის სრულყოფა კონტრაქტის პირობის დარღვევად ვერ განიხილება. ეს არ არის ქურდობა, ან სხვისი საკუთრების უფლების დარღვევა, რადგანაც მე გამომგონებლის უფლებები არ შემიზღუდია.

ყველაზე დიდი ზეგავლენა, რაც ჩემს საქციელს შეიძლება მოჰყვეს იმაში გამოიხატება, რომ გამომგონებელი გარკვეულწილად ვეღარ მოახერხებს, რომ თავისი გამოგონება მონოპოლიურად გამოიყენოს. მაგრამ როგორც უკვე დავრწმუნდით, ადამიანი საკუთრებით უფლებებს ღირებულებებზე ვერ გაავრცელებს, ანუ შესაძლებელი მხოლოდ ფიზიკურ გამოხატულების ფლობაა.

შესაბამისად, კონტრაქტი მხოლოდ გარკვეულ დაცვას უზრუნველყოფს. წიგნის გამომცემელმა შეიძლება კონტრაქტის საფუძველზე მყიდველებს ვალდებულება დააკისროს, რომ მათ ეს წიგნი არ გამოაქვეყნონ. მაგრამ იგი ვერ შეუშლის ხელს მესამე მხარეებს, რომ ეს წიგნი გამოაქვეყნონ და გაყიდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტრაქტი ამასთან დაკავშირებით გარკვეული ზომების გატარებას ითვალისწინებს.

კონტრაქტები დაჯავშნილი უფლებების საპირისპიროდ

ამგვარად, მესამე მხარეებზე, რომლებიც კონტრაქტის მონაწილეები არ არიან კონტრაქტის პირობები არ ვრცელდება. ამ მიზეზის გამო, მიუხედავად იმისა, რომ გამომგონებელს შეუძლია კონტრაქტის მეშვეობით კონტრაქტის მონაწილე მხარეს მისი იდეების თავისი სურვილის შესაბამისად გამოყენება აუკრძალოს, სტანდარტული საკონტრაქტო კანონმდებლობის მეშვეობით ძალიან ძნელია აიძულო მესამე მხარეები, რომ ავტორის იდეები არ გამოიყენონ, რომლებიც მათთვის მისაწვდომი გახდა. სწორედ იმიტომ, რომ ეს პრობლემა გააცნობიერეს, ინტელექტუალური საკუთრების უფლების ზოგიერთი კვაზიმხარდამჭერი წმინდა საკონტრაქტო მიდგომისგან “უფლებების დაჯავშნის“ მიდგომისკენ გადაიხარა. ამ მიდგომის შესაბამისად მატერიალური რესურსების საკუთრების უფლება შეიძლება უფლებების პაკეტის სახით განისაზღვროს. მაგალითად, უფლებების სტანდარტული პაკეტის შესაბამისად, მიწის მესაკუთრეს შეუძლია, რომ მადნეულის სახით არსებული აქტივი ნავთობის მომპოვებელ კომპანიას მიჰყიდოს, მაშინ როდესაც მოცემული ნაკვეთის მიწისზედა ნაწილის საკუთრების უფლება შეინარჩუნოს, გარდა სერვიტუდის უფლებისა (მისადგომის უფლება), რომლის მიხედვითაც მეზობელს მისასვლელის (გზის) გამოყენების უფლება გააჩნია და უზუფრუქტის უფლებისა, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია თავისი ნაკვეთით (მიწისზედა ნაწილი) სარგებლობის უფლება მაგალითად დედამისს გადასცეს. უფლებების პაკეტის მიდგომაზე დაყრდნობით “უფლებების დაჯავშნის“ მიდგომის მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ “კერძო“ ინტელექტუალური საკუთრების უფლება შეიძლება “უფლებების დაჯავშნის“ მეშვეობით გახდეს

ახალი მატერიალური საგნების წარმოების წყარო, რომლებიც მყიდველებს მიეწოდება.

მაგალითად, როთბარდის აზრით შესაძლებელია, რომ სხვა ადამიანს საკუთრების “პირობითი” უფლება (მაგალითად რაიმე ცოდნა) გადასცე და ამავდროულად ამ გამოგონებასთან დაკავშირებული ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების უფლება შეინარჩუნო. ბრაუნის აზრით გაუმჯობესებული სათაგურის გამომგონებელს შეუძლია ამ სათაგურზე საავტორო უფლებები გააჩნდეს და სათაგურების გავრცელების უფლება გაყიდოს, მაგრამ მის წარმოებაზე უფლება შეინარჩუნოს. მსგავსად კანონით განსაზღვრული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, ასეთი “დაჯავშნა”, ანუ სხვების უფლებების შეზღუდვა ასევე დაკანონებულია და ყველასთვის დამავალდებულებელი ხასიათისაა და არა მხოლოდ იმათთვის, ვინც კონტრაქტის მხარეებს წარმოადგენენ. ამგვარად, მესამე მხარეებს, რომლებიც ასეთ აკრძალულ საგანს იძენენ, ამსაგნის წარმოების უფლებით არ სარგებლობენ არა იმიტომ, რომ მათ კონტრაქტი ბრაუნთან გააფორმეს, არამედ იმიტომ, რომ “არავის არა აქვს უფლება იმ საგნების ან იდეის მესაკუთრე გახდეს, რომელიც უკვე გაყიდულია ან გასხვისებულია”.

ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მესამე მხარე მატერიალურ საგანს იძენს, მაგალითად წიგნს ან სათაგურს, მაგრამ მას აკლია ნაწილი, რომელზეც წერია, რომ საგამომცემლო უფლებები დაცულია. ან, როდესაც მესამე მხარე ინფორმაციის “ფლობის” უფლებას ისეთი პირისგან იძენს, რომელიც ამ ინფორმაციას არ ფლობს და შესაბამისად, არ მისი სხვებისთვის გადაცემის უფლება აქვს.⁸⁵

რასაკვირველია, ამ მსჯელობაში ყველაფერი სწორი არ არის. წარმოიდგინეთ, რომ A პირმა დაწერა რომანი და მისი პირველი ასლი B1 პირს მიჰყიდა ყოველგვარი შემზღუდველი პირობის გარეშე, ხოლო წიგნის მეორე ასლი მიჰყიდა B2 პირს, მაგრამ ამჟამად გარკვეული შემზღუდველი პირობით, ანუ ამ წიგნზე უფლება მას რჩებოდა. ორივე წიგნი, ანუ პირველი და მეორე ასლი მესამე მხარის აზრით აბსოლუტურად იდენტურია, მაგრამ ეს ასე არ არის. ერთი არასრულუფლებიანია, ხოლო მეორის უფლებები კი მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია. წარმოიდგინეთ, რომ B1-მა და B2-მა ეს წიგნები პარკის სკამზე დატოვეს. მესამე მხარემ - T პირმა კი ეს წიგნები იპოვა. როთბარდის შესაბამისად მეორე ასლი არ არის სრულფასოვანი, რადგანაც მის მესაკუთრეს “წიგნის გამოცემის უფლება” არ გააჩნია. წიგნს აკლია რაღაც მსგავსად იმისა, როგორც ელექტრონული სათამაშო ელემენტების გარეშე რომ გაიყიდოს. მეორე ასლი უხილავი ძაფით დაკავშირებულია მის პირველ მესაკუთრეთან, ანუ A პირთან, სადაც არ უნდა იყოს იგი. ამგვარად, თუ T პირი ამ წიგნზე

უფლებების მოპოვებას მოინდომებს, იგი მხოლოდ იმ მოცულობის უფლებებს შეიძენს, რომელიც ამ ეგზემპლართანაა დაკავშირებული. ანუ, იგი იქნება იმ წიგნის მესაკუთრე, რომლის რეპროდუცირების უფლება არ გააჩნია, ანუ პრაქტიკულად მას მეორე ასლზე უფლებები არ გააჩნია. იგივე გავრცელდება სხვა მესამე მხარეებზეც, რომლებიც ამ წიგნის მესაკუთრეები გახდებიან.

შეგვიძლია ასეთი მიდგომა მისაღებად მივიჩნიოთ? შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საკუთრების უფლება, რომელიც ასეთი გზით ნაწილდება? და რომც წარმოვიდგინოთ და მისაღებად ჩავთვალოთ, მივიღებთ კი სასურველ შედეგებს, ანუ შევზღუდავთ მესამე მხარის მიერ დაცული იდეებით სარგებლობის უფლებას?

ძალიან ძნელი სავარაუდოა, რომ უფლებების ასეთი გზით დაცვა შესაძლებელი იქნება.

საკუთრების უფლების ერთ-ერთი ფუნქციაა დაპირისპირებების არიდება და მესამე მხარისთვის საკუთრების საზღვრებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაა. საკუთრების საზღვრები ობიექტური და მხარეების მიერ აღიარებული უნდა იყოს, ანუ საკუთრების საზღვრები ნათელი უნდა იყოს. ეს ფარგლები მხოლოდ მაშინ არის დაცული, თუ ისინი ხილული, ობიექტური და სამართლიანია. მაგრამ მოდით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ წიგნის პირველი და მეორე ასლი.

რა განსხვავებაა მათ შორის? როგორ შეიძლება ადამიანმა დაინახოს უფლების ის ძაფი, რომელიც მეორე წიგნს მის მესაკუთრესთან აკავშირებს? მესამე მხარეებმა როგორ უნდა დაიცვან საკუთრების ასეთი უხილავი, ამორფული და მისტიური საზღვრები?

ასეთ მიდგომასთან დაკავშირებული ვითარება ნამდვილად წინააღმდეგობრივია. პალმერი წერს: საკუთრების უფლების დანაწევრება და მათგან გამოქვეყნების უფლების გაცალკევება საჭოჭმანო საკითხია. შეუძლია კი ადამიანს, რომ რაიმე ინფორმაციის დამახსოვრების უფლება მიითვისოს? მოდით წარმოვიდგინოთ, რომ მე წიგნი დავწერე და თქვენ მისი წაკითხვა შემოგთავაზეთ. იმავედროულად მე წიგნთან დაკავშირებული ინფორმაციის დამახსოვრების უფლება დავიტოვე. ასეთ შემთხვევაში მე მართალი ვიქნები თუ თქვენ სასამართლოში გიჩივლებთ იმიტომ, რომ წიგნის გმირის სახელი დაიმახსოვრეთ?⁸⁶

აღსანიშნავია, რომ ამ თეორიის შემთხვევაში მესამე მხარეები კვლავ პრობლემას წარმოადგენენ. მაშინაც კი, თუ საგნის გამყიდველი ეცდება გაყიდულ საგანთან დაკავშირებით სარგებლობის უფლებების “დაჯავშნა” მოახდინოს, ეს რანაირად მესამე მხარეებს ამ საგანთან ერთად შეძენილი

ინფორმაციით სარგებლობისგან შეზღუდავს? უფლებების შეზღუდვის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ B1 მყიდველს წიგნის რეპროდუცირების უფლება არა აქვს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ B1 მყიდველსა და A გამყიდველს შორის ნათლად გაწერილი კონტრაქტია დადებული.

მოდით განვიხილოთ მესამე მხარე - T1, რომელმაც ეს დატოვებული წიგნი იპოვა და წაიკითხა. ამგვარად, მან ინფორმაცია მიიღო წიგნის თაობაზე. მოდით კიდევ ერთი მესამე მხარე განვიხილოთ - T2, რომელსაც ეს წიგნი არასოდეს არ უნახავს. იგი მის შესახებ ინფორმაციას მითქმა-მოთქმის, კედელზე გაკეთებული წარწერების ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით იღებს. არც T1 და T2-ს არა აქვს გაფორმებული ხელშეკრულება A პირთან, თუმცა ორივეს გარკვეული ინფორმაცია გააჩნია ამ წიგნის თაობაზე. ამ წიგნთან ერთად მისი გამოცემის უფლება არ იგულისხმება, T1 და T2-ს არაფერი არ უშლის ხელს, რომ წიგნის თაობაზე შეძენილი ინფორმაციით ისარგებლონ. და თუნდაც T1-ს გარკვეული საკონტრაქტო ვალდებულებები ჰქონდეს იმის გამო, რომ წიგნზე გაკეთებულია წარწერა, რომელიც გამოცემის უფლებას ზღუდავს, T2-ზე ეს არ ვრცელდება.

როტბარდი ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ გზას ხედავდა: ზოგადი ლოგიკა ასეთია: გრინის (მყიდველი) მხრიდან ნამდვილად კანონის დარღვევა იქნებოდა, რომ მას ბრაუნის მიერ გამოგონებული სათაგური ეწარმოებინა და გაეყიდა. მაგრამ მოდით წარმოვიდგინოთ, რომ სხვა ადამიანმა, მაგალითად ბლეკმა, რომელსაც ბრაუნთან კონტრაქტი არ გაუფორმებია, ნახა გრინის სათაგური, თავადაც ასეთივე გააკეთა და გაყიდა. ბლეკმა ამის გამო პასუხი უნდა აგოს? ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: არავის არ შეიძლება ქონდეს იმაზე მეტი საკუთრების უფლება, ვიდრე გაჩუქდა ან გაიყიდა.

ბრაუნთან გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისად, გრინს სათაგურზე საკუთრების უფლების სრული პაკეტი არ ჰქონდა, ანუ მას სათაგურის ასლის გაყიდვის გარდა ყველა უფლება გააჩნდა. მაგრამ ბლეკის უფლება სათაგურზე არ განსხვავდება გრინის უფლებისგან და შესაბამისად, ისიც კანონის დამრღვევად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ბრაუნის საკუთრების უფლებას არღვევს მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ წარმოადგენს კონტრაქტის მხარეს.⁸⁷

ამ არგუმენტაციას რამოდენიმე ნაკლოვანება ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა, ბლეკი უბრალოდ აკვირდება გრინის სათაგურს. ანუ, მისთვის გრინის გონებაში არსებული იდეები მიუწვდომელი და უცნობია. მაგრამ მას ეს

ინფორმაცია არც კი სჭირდება იმისთვის, რომ სათაგურის მახასიათებლებში გაერკვეს და მსგავსი რამ გააკეთოს.

გარდა ამისა, ადამიანის გონებაში არსებული იდეები არ შეიძლება “საკუთრებას“ წარმოადგენდეს, ისევე როგორც შრომა არ არის საკუთრება. საკუთრებას შეიძლება მხოლოდ მწირი რესურსები წარმოადგენდნენ. რესურსების სიმწირის ამ ასპექტისა და პირველი მესაკუთრის უპირატესი უფლების გაუთვალისწინებლობამ როთბარდი და მასთან ერთად სხვებიც შეცდომაში შეიყვანა და ისინი ცდებოდნენ, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ იდეები და შრომა საკუთრების საგანს წარმოადგენენ. თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ შეუძლებელია იდეების ფლობა (რადგანაც ისინი არ წარმოადგენენ მწირ რესურსს), რომ რაღაცის შექმნა საკმარისი ან აუცილებელი არ არის იმისთვის, რომ მესაკუთრედ ჩაითვალოს, მაშინ ამ მცდარი თეორიებით გამოწვეული დაბნეულობა გაქარწყლდებოდა.

თუ ბლეკი რაღაცა გზებით იმ იდეებს გაეცნობა, რომლებზეც დაყრდნობით ბრაუნმა სათაგური გამოიგონა (როთბარდის მაგალითში ის მას “შემთხვევით ნახავს“), მაშინ არა აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას, რომ სათაგურს შეიძლება მისი ასლის წარმოების უფლება არ ერთვოდა, რადგანაც ბლეკს ნებართვა იმისთვის, რომ თავისი საკუთრება, როგორც უნდა ისე გამოიყენოს არ სჭირდება. როგორ შეიძლება, რომ ბლეკის მიერ სათაგურის „შემთხვევით ნახვა“, ბრაუნის საკუთრების უფლებების დარღვევად ჩაითვალოს?

ყველა ქმედება, რომელიც საკუთრებაში მქონი მწირი რესურსების მოხმარებას გულისხმობს, ტექნიკურ ცოდნას საჭიროებს.⁸⁸ ეს ცოდნა შეიძლება ნაწილობრივ საგნების დათვალიერებით იყოს შეძენილი. იმისთვის, რომ რაღაცის მსგავსი რამ გაკეთდეს საჭირო არ არის, რომ სპეციალური უფლება გაგვაჩნდეს. პირიქით, ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენი რესურსებით და საკუთრებით რაც გვინდა ის ვაკეთოთ, თუკი ეს სხვების საკუთრების უფლებას არ დაარღვევს. ეს ლიბერტარიანელების ყველაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებაა, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. თუ მე 100 აკრი მიწის მესაკუთრე ვარ, მე შემიძლია დედიშობილამ ვიარო ჩემს ტერიტორიაზე არა იმიტომ, რომ ამ მიწას “დედიშობილა სიარულის უფლება“ ერთვოდა, არამედ იმიტომ, რომ ეს ჩემი მიწაა და მე ჩემი ქმედებით სხვების საკუთრების უფლებას არ ვარღვევ.

ზემოთხსენებულის მსგავსად, მე შემიძლია ჩემი საკუთრებით, ანუ მანქანით, ქაღალდით, კომპიუტერთ რაც მინდა ის გავაკეთო, მათ შორის კარბიურატორი გავაუმჯობესო, ან ჩემი მელანი გამოვიყენო წიგნის დასაბეჭდად. ეს შესაძლებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მე ამ მოქმედებებისგან გაფორმებული კონტრაქტის პირობები მზღუდავს. მე ჩემი საკუთრებით სარგებლობის უფლებების განსაზღვრა არ მჭირდება იმისათვის,

რომ შემდეგ ამ დოკუმენტით ვისარგებლო, რადგანაც სარგებლობის ყველა გზები დასაშვებია, გარდა ისეთისა, რომელიც კონტრაქტითაა შეზღუდული და სხვების საკუთრების უფლების დარღვევას წარმოადგენს. ლიბერტიარიანელების მოსაზრებით ჩვენ უფლებების განხორციელების პირობებში ვცხოვრობთ და არა ნებართვების საფუძველზე.

ნებართვა იმაზე, რომ ჩვენი საკუთრება ჩვენივე ნებასურვილის შესაბამისად განვკარგოთ, არ გვჭირდება. ტოტალიტარული საზოგადოებებისგან გასხვავებით ჩვენს საზოგადოებაში ყველაფერი დაშვებულია, რაც აკრძალული არ არის. უფლებების დაჯავშნის მიდგომის განხორციელება ამ ვითარებას შეცვლიდა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში საკუთრების სარგებლობის მხოლოდ ის სახეები იქნებოდა დაშვებული, რომელიც როგორღაც თავად ამ საკუთრებას ერთვის ან ახასიათებს.

მოდით შემდეგ მაგალითზე განვიხილოთ ეს ვითარება. ჯადი, ფერმერი თავის ნაკვეთზე ნავთობს აღმოაჩენს. მიმდებარე ფერმებზე არავინ არ იცის ამ შავი ოქროს შესახებ. ჯადს უნდა, რომ მეზობლის საკუთრებაში მყოფი მიწა იაფად შეიძინოს. ისინიც მზად არიან იაფად გაყიდონ მიწა, რადგანაც არაფერი იციან ნავთობის შესახებ. ერთ ღამეს მისი ცნობისმოყვარე მეზობელი ქუთერი, რომელსაც ძალიან დააეჭვა ჯადის კარგმა განწყობილებამ, რომელიც მას ბოლო ხანს დასჩემდა, ჯადის მიწაზე შეიპარა და ყველაფერი გაიგო. მეორე დღით ფლოიდის სადალაქოში ქუთერმა ყველაფერი ქლემს და კიდევ რამოდენიმე იქმყოფს მოუყვა. ერთ-ერთი მათგანი ტელეფონის დავალიანების გადასახდელად წავიდა და “უოლ სთრით ჯორნალის“ რეპორტიორს (რომელიც მისი ძმისშვილია) მოუყვა ეს ამბავი. ძალიან მალე ყველამ შეიტყო ახალი ამბავი. შედეგად მეზობლებმა თავიანთ მიწებს ძალიან მაღალი ფასები დაადეს და ჯადის გეგმებიც ჩაიშალა.

მოდით ვივარაუდოთ, რომ ქუთერის წინააღმდეგ სარჩელი შეიძლება აღიძრას იმ საფუძველზე, რომ იგი სხვის საკუთრებაში შეიჭრა და მის მესაკუთრეს ზიანი მიაყენა. ისმის კითხვა, შეიძლება ჯადის მეზობლებს ხელი შევუშალოთ იმაში, რომ ისინი მათთვის მისაწვდომი ცნობის საფუძველზე იმოქმედებენ? ანუ, შეგვიძლია ვაიძულოთ ეს ხალხი, რომ თავი მოაჩვენონ, თითქოს არაფერი იციან ნავთობის შესახებ და ჯადს მიწა იმავე ფასში მიჰყიდონ, თითქოს ახალი გარემოებები არ იციან?

რასაკვირველია ამ ადამიანებს ასე მოქცევას ვერ ვაიძულებთ. ეს მიწა მათი საკუთრებაა და ამ მიწით სარგებლობა ისე შეუძლიათ, როგორც თავად მოესურვებათ. მატერიალური აქტივებისგან განსხვავებით ინფორმაცია საკუთრების საგანს არ წარმოადგენს. მოპარული საათის მესაკუთრეს მისი პატრონისთვის დაბრუნება მოუწევს, მაგრამ პირი, რომლისთვისაც რაღაც

ინფორმაცია გახდა ცნობილი და იგი მან უკანონო გზით არ მოიპოვა, უფლებამოსილია, რომ ეს ინფორმაცია, როგორც უნდა ისე გამოიყენოს.

მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ უფლებების დაჯავშნის მიდგომის მხარდამჭერების შესაბამისად მეზობლებს იმ ინფორმაციით სარგებლობის უფლება არა აქვთ, რომელიც ქუთერისგან შეიტყვეს, რადგანაც ამ უკანასკნელმა იგი უკანონოდ მოიპოვა. ამგვარად, ამ ინფორმაციაზე უფლება ქუთერის მსგავსად მის მეზობლებსაც არა აქვთ. გარდა ამისა სხვა ადამიანებსაც, მაგალითად მზვერაგ-გეოლოგებს, რუქების შედგენის სპეციალისტებს და სხვებს, ამ ინფორმაციით სარგებლობის უფლება ასევე არა აქვთ. მათაც თავი უნდა მოაჩვენონ, რომ თითქოს არაფერი იციან მანამდე, სანამ ჯადისგან ნებართვას არ მიიღებენ. სწორედ ასეთი სიტუაცია იქმნება, როდესაც ინტელექტუალური საკუთრების წესების გამო ხელოვნურად იქმნება რესურსისა და ინფორმაციის სიმწირე. არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ უფლებების დაჯავშნის შედეგად მესამე მხარის ქმედებების შეზღუდვა და მათ მიერ შეძენილი ინფორმაციის გამოყენებაზე ზედამხედველობის დაწესება იქნება შესაძლებელი.

უბრალოდ, სამართლიანი არ არის, რომ მესაკუთრეს თავისი საკუთრებით სარგებლობის უფლება შეუზღუდო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მესაკუთრე კონტრაქტის გაფორმების გზით თანხმობას გამოაცხადებს იმაზე, რომ ინფორმაციით არ ისარგებლებს ან მან ინფორმაცია უკანონოდ მოიპოვა და ამით სხვა მესაკუთრის უფლებები შელახა და ზიანი მიაყენა. უფლებების დაჯავშნის მიდგომა ცდილობს უზრუნველყოს, რომ მოთხოვნა სავალდებულო იყოს იმ მხარეებისთვისაც, რომლებიც კონტრაქტის მონაწილეები არ არიან.⁸⁹

ამგვარად, ზოგადად მყიდველი გამყიდველთან დადებული კონტრაქტის პირობებითაა შეზღუდული და მისი ნებართვის გარეშე საგნის ან გაყიდვის უფლება არ გააჩნია. მაგრამ თუ მესამე მხარისთვის მისაწვდომი გახდება ინფორმაცია ლიტერატურული ნაწარმოებისა ან გამოგონების შესახებ, მის მიერ ამ ინფორმაციის გამოყენება, როგორც წესი მესაკუთრეს საკუთრების უფლების დარღვევად არ ითვლება. მოდით ინტელექტუალური საკუთრების უფლების გავრცელებული ფორმები რესურსების სიმწირეს, კონტრაქტის ხასიათისა და საკუთრების უფლებების გათვალისწინებით განვიხილოთ.

საავტორო უფლებები და პატენტი

ნათელია, რომ საავტორო უფლებები და პატენტი მატერიალური აქტივების, ანუ მწირი რესურსების მესაკუთრეების დაცვას ემსახურება. მაგალითად, პატენტის თაობაზე არსებული კანონების შესაბამისად, სხვების მიერ დაპატენტებული

მეთოდების გამოყენება ან დაპატენტებული საგნების ფორმის ასლების გაკეთება, თუნდაც საკუთარი რესურსებით აკრძალულია, თუნდაც ეს მეთოდები ან საგნები თავად მათ, ორიგინალის გამომგონებლისგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს. საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად მესამე მხარეებს, რომლებიც არ არიან კონტრაქტის მონაწილეები, ეკრძალებათ ავტორის ნამუშევრის ასლების გაკეთება და ამისგან მოგების მიღება.

ნათელია, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების ან გამოგონებების ავტორებს უფლება აქვთ კონტრაქტი გააფორმონ მყიდველებთან და შეზღუდონ მათი საკუთრების რეალიზაციის ან რეპროდუცირების უფლება. ასეთი საკონტრაქტო პირობები შეიძლება საკმაოდ რთული იყოს. ლიტერატურული ნაწარმოების ავტორმა შეიძლება ფილმების გადამღებ სტუდიას მისცეს ლიცენზია თავისი ნაწარმოების გამოყენებაზე იმ პირობით, რომ ყველა კინოთეატრმა თავისი კლიენტებისგან უნდა მოითხოვოს, რომ მათ ფილმის სიუჟეტი არავის მოუყვინ.

მაგრამ როდესაც მესამე მხარისთვის, რომელიც კონტრაქტის მონაწილე არ არის, ეს ინფორმაცია მისაწვდომი გახდება, მათ უფლება აქვთ ეს ინფორმაცია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ. უფლებების დაჯავშნის მიდგომა ამას ვერ შეცვლის. ამგვარად, ძნელია პატენტებისა და საავტორო უფლებების არსებული სისტემის მხოლოდ საკონტრაქტო მოდელით ჩანაცვლება.

სავაჭრო საიდუმლოება

სავაჭრო საიდუმლოების მიზანშეწონილობის გამართლება უფრო ადვილია, ვიდრე პატენტებისა და საავტორო უფლებების. პალმერი ამტკიცებს, რომ სავაჭრო საიდუმლოების კანონმდებლობა ზოგადი სამართლის უფლებების საფუძველზე ჩამოყალიბდა და შესაბამისად, კანონიერია.⁹⁰ სავაჭრო საიდუმლოების კანონმდებლობა მიყენებული ზიანის ანაზღაურების და სავაჭრო საიდუმლოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ბოროტად გამოყენების თავიდან არიდების საშუალებას იძლევა. გათვალისწინებული სანქციები იმ პირების მიმართ იქნება გამოყენებული, რომლებმაც ინფორმაცია უკანონო გზით მოიპოვეს ან კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები დაარღვიეს და ინფორმაცია გაამჟღავნეს. ასევე, ეს სანქციები იმ პირებზე გავრცელდება, რომლებიც სხვა პირის მიერ უკანონო გზით მოიპოვებული ინფორმაციით ისარგებლეს.⁹¹ წარმოიდგინეთ, რომ X კომპანიის A მუშაკისთვის მისაწვდომია ამ კომპანიის სავაჭრო საიდუმლოება, კერძოდ კი გამაგრილებელი სასმელის წარმოების ფორმულა. ამ მუშაკს ხელმოწერილი აქვს შეთანხმება თავის დამქირავებელთან, რომლის შესაბამისადაც იგი

ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს სასმელის წარმოების ფორმულა. მაგრამ ეს მუშაკი მიდის X კომპანიის კონკურენტთან Y კომპანიის მესაკუთრეთან, რომელსაც ამ ფორმულის საფუძველზე სასმელის წარმოება უნდა. არსებული კანონის შესაბამისად, სანამ ეს ფორმულა საჯაროდ განცხადებული არ არის, X კომპანიის მესაკუთრეს უფლება აქვს სასამართლო წესით A მუშაკს ხელი შეუშალოს მისი ფორმულის თაობაზე ინფორმაციის გამჟღავნებაში. თუ A პირმა უკვე გასცა საიდუმლოება, მაშინ X კომპანიის მესაკუთრეს უფლება აქვს Y კომპანიის მესაკუთრეს ამ ფორმულის გამოყენება სასამართლო წესით აუკრძალოს.

ნათელია, რომ A პირმა კონტრაქტის პირობების დარღვევაზე ანუ საიდუმლოების გამჟღავნებაზე პასუხი ნამდვილად უნდა აგოს და ვალდებულია მიყენებული ზიანი აანაზღაუროს. უფრო სადაოა, თუ რამდენად სამართლიანია Y კომპანიის მესაკუთრესთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რადგანაც მას კონტრაქტი X კომპანიის მესაკუთრეთან არ გაუფორმებია. ასეთ სიტუაციებში, რომლებიც საკმაოდ ხშირადაა პრაქტიკაში, ძირითადად Y კომპანიის მესაკუთრე X კომპანიის მუშაკთან ფარულ გარიგებაში შედის და მან წინასწარი იცის, რომ ასეთი გზით ინფორმაციის მოპოვება უკანონოა და მუშაკი კონტრაქტის პირობებს არღვევს, როდესაც კონკურენტ კომპანიას საიდუმლო ფორმულას უმჟღავნებს. მაგრამ A პირი ვერ ჩაითვლება კონტრაქტის დამრღვევად მანამდე, სანამ ამ ინფორმაციას კონკურენტ კომპანიას რეალურად არ მიაწოდებს. თუ Y კომპანიის მესაკუთრე A პირს კონტრაქტის პირობების დარღვევისკენ აქტიურად აქეზებს, მაშინ იგი ფარული გარიგების მონაწილე ხდება და X კომპანიის მფლობელის საკუთრების უფლებას არღვევს. მანქანის მძღოლს, რომელსაც ბანკის გაძარცვის შედეგად გატაცებული თანხა გადააქვს, ისევე როგორც მაფიის ბოსს, რომელმაც მკვლელობა შეუკვეთა პასუხისმგებლობა სხვების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედების გამო ნამდვილად უნდა დაეკისროს. რაც შეეხება მესამე მხარეს, განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება მათი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა სამართლიანი იყოს და ასეთი გზით შეეშალოს ხელი კანონდარღვევით მოძიებული ინფორმაციით სარგებლობას.⁹²

სავაჭრო ნიშანი

პალმერი ამტკიცებდა, რომ კანონი სავაჭრო ნიშნის თაობაზე მისაღებია და უნდა არსებობდეს.⁹³ წარმოიდგინეთ, რომ ლაქმანიანი, ადამიანი რომელსაც ჰამბურგერებით ვაჭრობის არც თუ ისეთი წარმატებული ქსელი აქვს გადაწყვეტს, რომ თავის სარეალიზაციო პუნქტებს ლაქმან-ბურგერების

ნაცვლად როთბარდ-ბურგერები დაარქვას, რაც უკვე არსებული ქსელის სახლია. მე მომხმარებელი ვარ და მინდა, რომ როთბარდ-ბურგერი ვჭამო. მე ვოთომდა როთბარდ-ბურგერების ერთ-ერთ წერტილს ვხედავ და მათ ბურგერს ვყიდულობ. არსებული კანონის შესაბამისად როთბარდს, ანუ როთბარდ-ბურგერის სავაჭრო ნიშნის მესაკუთრეს უფლება აქვს, რომ ლაქმანიანს ამ ნიშნით სარგებლობა აუკრძალოს, რადგანაც იგი „დამაბნეველად გავს“ მის სავაჭრო ნიშანს.

ანუ, ამ ნიშანს მომხმარებელი წარმოების წყაროსთან მიმართებაში შეცდომაში შეჰყავს. ანუ, კანონი სავაჭრო ნიშნის მესაკუთრეს სხვა პირების მიერ მისი ნიშნის გამოყენებისგან იცავს.

ჩემი აზრით ასეთ შემთხვევაში არა სავაჭრო ნიშნის მესაკუთრის, არამედ *მომხმარებლის* უფლებები ირღვევა. ზემოთ მოყვანილ მაგალითში მე, ანუ მომხმარებელს მეგონა, რომ როთბარდ-ბურგერს ვყიდულობდი, მაგრამ მის ნაცვლად სხვა ბურგერი შევიძინე, რომლის არც გემო მომწონს და არც საწებელი. მე უფლება უნდა მქონდეს, რომ სასამართლო წესით ჩემი ინტერესების დაცვა მოვითხოვო და გაყალბების, კონტრაქტის პირობების დარღვევისა და ჩემთვის ემოციური ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობა ლაქმან-ბურგერების მესაკუთრეს დავაკისრო. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა ზიანი მიადგა როთბარდს, თუ მე შეცდომაში ლაქმან-ბურგერების ქსელმა შემიყვანა? ანუ, ლაქმანიანის მოქმედებებს როთბარდის საკუთრებისადმი ფიზიკური ზიანი არ მიუყენებია. ის არც სხვებს მოუწოდებს, რომ მათ როთბარდს ზიანი მიაყენონ. ერთადერთი, რასაც იგი შესაძლოა აკეთებდეს ისაა, რომ იგი მესამე მხარეებს ბურგერების როთბარდის ნაცვლად მისგან შეძენაში არწმუნებდეს. შესაბამისად, ლიბერტარიანულ საზოგადოებაში კანონმდებლობა სავაჭრო ნიშნების შესახებ სასამართლოში სავაჭრო ნიშნის მიმთვისებლის წინააღმდეგ ჩივილის უფლებას *მომხმარებელს* და არა ნიშნის მესაკუთრეს უნდა აძლევდეს.

მეტიც, სავაჭრო ნიშნების შესახებ კანონმდებლობის ახალი მოთხოვნები, მაგალითად სავაჭრო ნიშნის გაუკუღმართებისა და ელექტრონული გვერდების მისამართების დარეგისტრირების წინააღმდეგ, შეუძლებელია, რომ გამართლებული იყოს. სავაჭრო ნიშნის მესაკუთრეს მისი ნიშნის გაუკუღმართების წინააღმდეგ წასვლა იმიტომ არ შეუძლია, რომ ის თავის სავაჭრო ნიშანზე უფლებებს არ ფლობს.

კანონის მუხლები, რომლებიც ელექტრონული გვერდების მისამართების დარეგისტრირებას ეხება ეკონომიკური უცოდინარობის ბრალია. რასაკვირველია, არაფერია საძრახისი იმაში, რომ რაღაც დომენის მესაკუთრე

ვინმე პირველი გახდეს და შემდეგ იმას მიჰყიდოს, ვინც უფრო მაღალ ფასს შესთავაზებს.

დასკვნა

როგორც დავრწმუნდით განყენებული საგნების საკუთრების უფლება ყოველთვის სხვა პირების საკუთრების უფლებების დარღვევასთან არის დაკავშირებული, ანუ სხვა ადამიანებს აღარა აქვთ შესაძლებლობა, რომ თავიანთი მატერიალური საკუთრება საკუთარი ნებასურვილის მიხედვით განკარგონ.⁹⁴ ასეთი სისტემა მკვიდრობის ახალ წესს მოითხოვს, რომელიც თავის მხრივ პირველი მესაკუთრეს უპირატესი უფლებების სისტემას ძირს გამოუთხრის. მიმაჩნია, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა, სულ მცირე პატენტებისა და საავტორო უფლებების სახით გამართლებული არ არის.

არ არის გასაოცარი, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მხარდამჭერები, ხელოვანები და გამომგონებლები ინტელექტუალური საკუთრების ინსტიტუტის არსებობას ხშირად აბსოლუტურად ბუნებრივად მიიჩნევენ. მაგრამ ის ადამიანები, რომლებსაც თავისუფლების, სიმართლისა და უფლებების საკითხები უფრო აინტერესებთ, ამ უფლებების ინსტიტუციონალიზაციას მხარს არ უნდა უჭერდნენ. ნაცვლად ამისა ჩვენ ინდივიდუალური უფლებების და მწირი რესურსების პირველმკვიდრობის უფლების უზენაესობა კიდევ ერთხელ უნდა დავამტკიცოთ.

დანართი: პატენტებისა და საავტორო უფლებების მაგალითები

ამერიკის შეერთებული შტატების პატენტების მაგალითები:⁹⁵

- “საშობაო ნაძვის ხე და კორომის მორწყვის სისტემა, აშშ პატენტი #4,993,176, 19 თებერვალი, 1991. (საშობაო ნაძვის ხეების სანტა კლაუსის მსგავს კორომად განლაგება);
- “გაერთიანების გაწვევრიანების პროცედურა“, აშშ პატენტი #819,814, 8 მაისი, 1906 (კანდიდატის საძმოს წევრად მიღების “უვნებელი“ პროცედურა ელექტროდების გამოყენებით მისი შოკში ჩაგდების გზით);
- “კატის ვარჯიშის მეთოდი“, აშშ პატენტი #5,443,036, 22 აგვისტო, 1995 (ლაზერის შუქის მიმართვა იატაკზე, კატის მიერ შუქის რგოლის გაყოლის მიზნით);

- “ზურგზე მოფერების სიმულირების აპარატი“, აშშ პატენტი #4,608,967, 2 სექტემბერი, 1986 (აპარატი, რომელზეც ზურგზე მოფერების სიმულირების მიზნით ხელოვნური მტევანია მიმაგრებული);
- “სინათლის სიჩქარეზე უფრო სწრაფი სიხშირის ანტენა“ აშშ პატენტი #6,025, 810, 15 თებერვალი, 2000 (სხვა “განზომილებაში“ ნაპრაღის გაჭრა და RF სიხშირეების გენერირება მცენარეების ზრდის ხელშეწყობის მიზნით);
- “მაღალი გამძლეობის ხმოვანი კონდომი“, აშშ პატენტი #5,163,447,, 17 ნოემბერი, 1992 (მაგ. უკრაგს “დიქსის“);
- “საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით შესყიდვის შეკვეთის განთავსების სისტემა და მეთოდი“, აშშ პატენტი #5,960,411, 28 სექტემბერი, 1999 (კომპიუტერულ მაუსზე თითის ერთი დაჭერის მეთოდით ინტერნეტის მეშვეობით შესყიდვის განხორციელება);
- ზემოთხსენებული და სხვა პატენტების თაობაზე დეტალური ინფორმაცია შემდეგ ვებგვერდებზეა განთავსებული: <http://www.delphion.com>;
- <http://www.uspto.gov/patft/index.html>;
- <http://www.patentgopher.com>
- “ფინანსური სერტიფიკატები, სისტემა და პროცესი“, აშშ პატენტი #6,017,063, 25 იანვარი, 2000 (განკუთვნილია ციფრული ინფორმაციის მოპოვების სისტემების კორპორაციებისთვის);
- “ლიდერობის ეფექტურობის გაზომვის მეთოდი და სისტემა“, აშშ პატენტი #6.007.340, 28 დეკემბერი, 1999 (გაცემულია ელექტრონული მონაცემთა სისტემის კორპორაციისთვის);
- “სანიტარული მოწყობილობა ჩიტებისთვის“, აშშ პატენტი #2,882,858, 21 აპრილი, 1959 (ჩიტების საფენები);
- “რელიგიური საპონი“, აშშ პატენტი #3,936,384, 3 თებერვალი, 1976 (საპონი, რომლის ერთ მხარეზე რელიგიური ემბლემაა გამოსახული, ხოლო მეორეზე კი ლოცვა);
- “გარდაცვლილების შენახვის მეთოდი“, აშშ პატენტი #748,284, 29 დეკემბერი, 1903 (გარდაცვლილი ადამიანის თავის შუშის ბლოკში შენახვა).

საავტორო უფლებების კანონი ზემოთხსენებულის მსგავსი აბსურდული მეთოდების გამოყენებას ამტკიცებს, რასაც თავად სასამართლო გადაწყვეტილებებიც უწყობენ ხელს. თავიდან საავტორო უფლებების კანონმდებლობა ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორების უფლების დაცვის მიზნით ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი ჩარჩოები და კონცეფცია ისე გაფართოვდა, რომ კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, სხვადასხვა დანადგარების ნაწილები და მრავალი სხვა რამ მოიცვა.

1. ინდივიდუალურობა“ და “მატერიალური“ ზოგადი სამართლის ტერმინოლოგიის სფეროს მიეკუთვნება. სამოქალაქო სამართლის ტერმინოლოგიის სფეროს ისეთი ტერმინები მიეკუთვნება, როგორცაა “უძრავი ქონება“, მოძრავი ქონება“ და “კორპორაციული“. იხილეთ ნ. სტეფან კინსელა, “ზოგადი სამართლის და სამოქალაქო სამართლის ტერმინოლოგიის ლექსიკონი“, *Louisiana Law Review* 54 (1994), გვ. 1265-305. ტერმინი “საგნები“. სამოქალაქო სამართლის ზოგად ტერმინოლოგიას მიეკუთვნება და ყველა სახის საგანს გულისხმობს, როგორც უძრავს, ასევე მოძრავს.

2. ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე კამათი მიმდინარეობს და იგი საკონტრაქტო კანონმდებლობას და საკუთრების უფლების გასხვისებას შეეხება. მაგალითად, შეგვიძლია გავყვიდეთ ჩვენი სხეული მსგავსად იმისა, როგორც ვყიდით მატერიალური (უძრავი ქონების) საკუთრების უფლებას? იხილეთ ნ. სტეფან კინსელა, “კონტრაქტების თეორია: დამავალდებულებელი პირობები, საკუთრების უფლების გადაცემა და უფლებების განუყოფლობა“ (ნაშრომი წარდგენილი იყო ავსტრიელი მეცნიერების კონფერენციაზე, ობურნი, ალაბამა, 1999 წლის აპრილი) და ნ. სტეფან კინსელა, “საკუთრების უფლების განუყოფლობა და გათვალისწინებული სასჯელი; პასუხი გეორგ სმითისადმი“, *ლიბერტარიანული კვლევების ჟურნალი*, 14, #1 (1989-99, ზამთარი) გვ. 79-93. საკუთრების უფლების განუყოფლობასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ უოლტერ ბლოკი, “საკუთრების უფლების ლიბერტარიანული თეორია: როთბარდის, ბარნეტის, გორდონის, სმითის, კინსელას და ეპშტეინის კრიტიკა“, *ლიბერტარიანული კვლევების ჟურნალი*.

3. კრიტიკული მოსაზრებები შანტაჟის თაობაზე კანონმდებლობასთან დაკავშირებით იხილეთ უოლტერ ბლოკის “ლიბერტარიანული თეორია შანტაჟის თაობაზე კანონმდებლობასთან დაკავშირებით“, *ლიბერტარიანული კვლევების ჟურნალი* 15, #2 (2001 წლის გაზაფხული) და უოლტერ ბლოკის “ლიბერტარიანული თეორია შანტაჟის თაობაზე კანონმდებლობასთან დაკავშირებით“, *Irish Jurist* 33 (1998), გვ.280-310. უოლტერ ბლოკის “იმის დაცვა, რაც დაცვას არ ექვემდებარება“ (ნიუ იორკი, Fleet Press, 1976), გვ. 53-54. მარი თ. როთბარდის “თავისუფლების ეთიკა (ნიუ იორკი, New York University Press, 1998), გვ. 124-26; და ერიკ მაკის “შანტაჟის დასაცავად“, *ფილოსოფიური კვლევები* 41, (1982) გვ. 274. ლიბერტარიანელების მოსაზრებები შანტაჟის თაობაზე კანონმდებლობის მხარდასაჭერად იხილეთ რობერტ ნოზიკის “ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ (ნიუ იორკი, Basic Books, 1974). გვ. 85-86 და რიჩარდ ეპშტეინის “შანტაჟი“, ჩიკაგოს უნივერსიტეტის საკანონმდებლო მაცნე 50 (1983), გვ. 553. ლიბერტარიანელების მოსაზრებები ცილისწამებასთან დაკავშირებით იხილეთ ბლოკის “იმის დაცვა, რაც დაცვას არ ექვემდებარება“, გვ. 50-53 და როთბარდის “თავისუფლების ეთიკა“, გვ. 126-28. მხარდამჭერი მოსაზრებები ასახულია დევიდ კელის ნაშრომში “დევიდ კელი ნათ ჰენთოფის წინააღმდეგ: მოსაზრებები წინააღმდეგ და მხარდასაჭერად“, *აუდიოფირი* (Free Press Association, Liberty Audio, 1987).

4. ევროპის ზოგ ქვეყანაში “ინტელექტუალური საკუთრების“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი “ინდუსტრიული საკუთრება“.

5. *De La Vergne refrigerating Mach. Co. v Featherstone*, 147 U.S. 209, 222, 13 S.Ct. 283,285 (1893).

6. ტომ გ. პალმერი “რამდენად გამართლებულია პატენტები და საავტორო უფლებები მორალური თვალსაზრისით? განყენებული საგნების საკუთრების უფლების ფილოსოფია“ ნაშრომში “სიმპოზიუმი: ინტელექტუალური საკუთრება“, *Harvard Journal of Law&Public Policy* 13, #3 (1990 წლის ზაფხული), გვ. 818. როგორც ერთ-ერთმა მეცნიერმა აღნიშნა “ინტელექტუალური საკუთრება შეიძლება განისაზღვროს, როგორც მატერიალურ ფორმაში ხორცშესხმული ახალი იდეების საკუთრების უფლება“. დევიდ ა. ნანსი

“წინასიტყვაობა: იდეების საკუთრების უფლება“, “სიმპოზიუმი: ინტელექტუალური საკუთრება“, Harvard Journal of Law & Public Policy 13, #3 (1990 წლის ზაფხული), გვ. 757.

7. საინტერესო მოსაზრებები ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით ასახულია არტურ რ. მილერის და მაიქლ ჰ. დევისის ნაშრომში “ინტელექტუალური საკუთრება: პატენტები, სავაჭრო ნიშანი, საავტორო უფლებები“ მეორე გამოცემა (Saint Paul, Minn: West Publishing, 1990), ასევე იხილეთ “პატენტები, სავაჭრო ნიშანი, სავაჭრო საიდუმლოება“; <http://profs.lp.findlaw.com/patents/index.html> . საპატენტო კანონმდებლობასთან დაკავშირებით იხილეთ რონალდ ბ. ჰილდრეთის “პატენტის კანონმდებლობა: პრაქტიკული ცნობარი“, მესამე გამოცემა (New York, Practising Law Institute, 1998); უფრო დეტალური ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობასთან დაკავშირებით იხილეთ დონალდ ჩიზამის “ჩიზამი პატენტების თაობაზე“ (New York: Mathew Bender, 2000), მელვილ ნაიმერის და დევიდ ნაიმერის “ნიმერი საავტორო უფლებების თაობაზე“ (New York: Matthew Bender, 2000), პოლ გოლდსტეინის “სავაჭრო უფლებები: პრინციპები, კანონი და პრაქტიკა“ (Boston: Little, Brown, 1989) ჯ. თომას მაკკარტი “მაკკარტი სავაჭრო ნიშნებისა და უსამართლო კონკურენციის თაობაზე“, მეოთხე გამოცემა (St. Paul, Minn: West Group, 1996) და როჯერ მ. მილგრამი “სავაჭრო საიდუმლოება“ (New York: Mathew Bender, 2000). დამატებითი ინფორმაცია და ბროშურები მისაწვდომია ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების ოფისში, <http://lcweb.loc.gov/copyright> და ამერიკის სავაჭრო დეპარტამენტის პატენტებისა და სავაჭრო ნიშნის ოფისში, <http://www.uspto.gov>. სხვა საინტერესო საიტები მითითებულია წინამდებარე სტატიის ბიბლიოგრაფიაში და დანართში.

8. ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსის მე-17 მუხლის 101, 106 და მომდევნო ნაწილები.

